ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან კვირა, 21 ივნისი 1998 №97 (632) ფასი 50 თეთრი


# იაპონია — ხორვატია 0:1
# ბელგია — მექსიკა 2:2
# ჰოლანდია — კორეა 5:0

REUTERS მასალებიდან



დენის ბერხკამპი მოედანს დაუბრუნდა და გოლიც შეაგდო, ლი მინ სუნგი კი უძლური აღმოჩნდა

**E ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 5:0 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| კორეა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:8 | 0 |

*25 ივნისი. ჰოლანდია — მექსიკა, ბელგია — კორეა*

## დღეს სამი მატჩია

**გერმანია — იუგოსლავია**

ლანსი. $16^{30}$

**არგენტინა — იამაიკა**

პარიზი. $19^{30}$

**აშშ — ირანი**

ლიონი. $23^{00}$

გუშინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ მატ[illegible]ში ხუთი გოლი ცალ კარში გავიდა. ჰოლანდიელებმა საბრალო კორეელებს კუდით ქვა ასროლინეს.

გუშინვე, ხორვატთა სახელმწიფოს ისტორიაში პირველად, ეროვნული გუნდი პირველ ეტაპს გასცდა — მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტი მერვედფინალშია.

## ძლიერნი მარჯვობენ, სუსტები უხეშობენ

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ პანოვი*
*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



სასწაული უნდა მომხდარიყო გუშინდელ, ფავორიტებს ქულა რომ დაეკარგათ. არა, ბელგიას ფავორიტებში არ ვგულისხმობ, არც მექსიკას, ეგენი საშუალო დონის გუნდები არიან და ერთმანეთსაც მშვიდობიანად დაშორდნენ. თუმცა, პირველ ტაიმში მექსიკელი რომ დაენდოთ და თამაშის გაგრძელების უფლება ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, ანგარიში სხვანაირი იქნებოდა, იმის შანსიც იყო, მექსიკელებს მოეგოთ. შეხვედრა ისე რიხიანად დაიწყეს, რომ უეჭველი გოლის გამტანები იყვნენ, მაგრამ კაცნაკლულებმა თამაში ველარ ააწყვეს. იგივეს ვიტყვი ბელგიაზეც, მეტობაში მყოფნი კიდევ სამოთხ გოლს გაიტანდნენ, მაგრამ ისინიც მცველმა დაალალატა, რომელიც სამართლიანად გააძევეს მოედნიდან. როცა ფეხბურთელები თანაბრად დარჩნენ, მერე ორივე მიღწეულს დაკმაყოფილდა, არადა, მექსიკას კიდევ რომ მოენდომებინა, მესამესაც შეაგდებდა.

ხორვატიაზე ჩემი აზრი უკვე გითხარით. იაპონელებთან თამაშისას უდავო ფავორიტები იყვნენ და ლოგიკური შედეგითაც დაასრულეს შეხვედრა. გუშინ იაპონია უწინდელზე უფრო მონდომებული, შემართული ჩანდა. მეტოქეს აზლოს ეთამაშებოდნენ, თავისუფლად მოქმედების არეალი მაქსიმალურად შეუზღუდეს. ეგ კი არა, ცოტა კლასი რომ ჰქონოდათ, ეგებ გოლიც გაეტანათ, თუმცა მომგებები მაინც ვერ იყვნენ. ხორვატებმა გაივარჯიშეს, ისევე როგორც ჰოლანდიელებმა. ამას წინათ არ გითხარით, ჩემპიონატზე გუნდების რაოდენობა გაბერილია და ნაღდი თამაშები მერვედფინალიდან დაიწყება-მეთქი? ახლა კი, ყველა მეტნაკლებად ძლიერი გუნდი ჯგუფში თამაშებს ფორმაში შესასვლელად იყენებს, ნაირნაირ კომბინაციებს ამუშავებენ, შესაძლოა, სხვა დროს გამოადგეთ. სხვას ვერაფერს იტყვი ჰოლანდია — კორეის თამაშზე. ხუთი უპასუხო გოლი ყველაფერზე მეტყველებს. და მაინც, ამნაირ მეტოქესთან იოლად გალაღების მიუხედავად, ჰოლანდიამ დამარწმუნა, რომ კარგი გუნდია. ბერხკამპი, დავიდსიც ნელ-ნელა ათამაშდნენ, კიდევ მოუმატებენ, აი მაშინ კი ნებისმიერი მეტოქისთვის ორივე ძალიან ძლიერი ძალა იქნება.

ორ-ორი მატჩის მერე თვალშისაცემია სუსტი გუნდების ნამეტანი ბინძური თამაში. თავი რომ არ აქვთ, მეტოქეს უხეშობით პასუხობენ და, შესაძლოა, ბევრმა ტექნიკურმა ფეხბურთელმა ჩემპიონატი ნაადრევად დაამთავროს. ამიტომაც, ძალიან კარგია, მსაჯები რომ არავის ინდობენ.

# შენ დაუკარ!

მატჩი №27. 20 ივნისი. მარსელი. სტად ველოდრომი. 60 000 მაყურებელი

## ჰოლანდია 5:0 კორეა

1:0 კოკუ (37), 2:0 ოვერმარსი (41), ბერხკამპი (71), ჰოიდონკი (79), რ. დე ბური (83)

ეგრე უნდა, მაგათ ჭკუა უნდა ასწავლოო. ისინი მხოლოდ კორეელები არ არიან, ისინი გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ჭკუის მასწავლებლები. თავისთავად, მათ არაფერი დაუშავებიათ, ფეხბურთის თამაშს სწავლობენ და ცდილობენ, აღიარებულ ლიდერებს ხელი შეუშალონ, ტოლი არ დაუდონ. დაშავებით კი ალბათ უფრო იმან დააშავა, ვინც მათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისკენ გზა გაუხსნა. დღეს საფრანგეთში 32 გუნდია ჩასული და აქედან დიდი წილი ისინი არიან. მსოფლიოს ყველა კუთხე-კუნჭულში ფეხბურთის განვითარების პროგრამამ მოიტანა გამოთქმა, ეგრე უნდა, მაგათ ჭკუა უნდა ასწავლოო.

ეს ემოციური შესავალი შეიძლება იდეაშივე მცდარი იყოს, მაგრამ რა წყალში გადავვარდეთ, თუ იტალია — არგენტინის ცქერა გვიჯობს იაპონია — არგენტინის ცქერას. გვირჩევნია, ჰოლანდია ბრაზილიას ეთამაშოს, ვიდრე კორეას. ნუ იქნება 64 შეხვედრა, იყოს ცოტა და დიდებული.

აბა, ვის რა მისცა წუხანდელმა თამაშმა? ჰოლანდიას სამი ქულა, მის ქომაგებს ლუდის ეშხით დალევის საბაბი. სხვა? თუ ვინმეს იმის ქცერა უყვარს, როგორ უყრის ერთი მეორეს ხუთ გოლს, მაშინ ბოდიში მოგვითხოვია. თანაბარი ძალის გუნდების ლამაზი ჰაექრობაა სანახავი, თორემ ისე ვარჯიშზე მიდი, ეჭვი არაა, ფეხბურთელები იქ უფრო ლაღ ილეთებს ასრულებენ და სიგრძეში გამწკრივებულ ბურთებსაც უფრო კოხტად უვლიან აქედან და იქიდან.

ან კორეამ რა ჰქნას? რაც ისწავლა, გვაჩვენა. იციან ბუმ კუნ ჩას შეგირდებმა ვინ ვის მარცხნივ ან მარჯვნივ უნდა იდგეს, იციან, როგორ სრულდება ვარდნით ბურთის ართმევა, სად უნდა იდგეს საყრდენი ფეხი ასეთ და ისეთ დროს, როგორ უნდა დაარტყა კარში სწორად. იქნებ ყველაფერი კომპიუტერზეც ბევრჯერ აქვთ გამოსახული და ნანახი, მაგრამ, არა შეჯდა მწყერი ხესაო, ნათქვამია. ჰოლანდიელი კორეელის საჯარიმოსთან რომ მიდის, თავში აზრი დაჰკრავს და თუნდაც ათასჯერ დამუშავებულ კომბინაციას ისეთი ინტერპრეტაციით ასრულებს, რომ გოლი გადის. ახლა, კორეელი რომ ჰოლანდიელის საჯარიმოსთან მიდის, რა ხდება? რა და, იწყებს ბიჭი დაზეპირებული სვლის ათასმეერთედ შესრულებას, შედეგი კი ის აქვს, რომ გოლი არ გადის.

ნასწავლი აქვთ კორეელებს ფეხბურთის თამაში. ხომ ნახეთ, მეორე ტაიმი რომ დაიწყო, გუნდმა პრესინგს მიმართა და დაახლოებით თხუთმეტი წუთით ევროპელებს ლაღი თამაში ჩაუკლა, მაგრამ მერე მოხდა ის, რაც ვთქვით: ჰოლანდიელებს რამდენიმე აზრმა გაუელვათ და... მსაჯმა საფინალო სასტვენის ხმით სკამებიდან რომ წამოგვაყარა, ტაბლოზე 5:0 ენთო.



ჩოი იონგ სომ სტამს კი აჯობა, მაგრამ...

ჰოლანდიის გუნდში კი დენის ბერხკამპი გამოჩნდა. ლონდონის „არსენალის" მოთამაშემ 25 წუთით წინა შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ახლა იგი მოედანზე თავიდანვე გავიდა და როგორც მატჩის წინა პრესკონფერენციებიდან ვიცოდით და ველოდით დაახლოებით ერთი საათი ითამაშა.

ბერხკამპი ჯერ არ არის ჩვეულ ფორმაში. მას ბევრი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ ერთის მეტი ვერ გაიტანა, არადა, ფორვარდს სწორედ გოლებს უთვლიან. ეჭვი არაა, არსენალელი მესამე თამაშამდე კარში ზუსტად დარტყმაზე საგანგებოდ გაამახვილებს ყურადღებას, წუხანდელს კი ესეც ეყო.

მოკლედ, ჰოლანდიამ სამი ქულაც მიითვალა და გემრიელადაც წაივარჯიშა. თავი გამოიჩინა „იუვენტუსის" ნახევარმცველმა ედგარ დავიდსმა, რომელიც ალბათ დაიმკვიდრებს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. დავიდსმა ბევრი იმოძრავა, შავი და თეთრი საქმე თანაბრად შეასრულა, კარშიც არტყა, პასებიც არიგა. კვლავ გამოირჩეოდა ელ კისებური სისწრაფით მარცხენა გარემარბი მარკ ოვერმარსი, მარჯვენა ფრთაზე რონალდ დე ბურს მეტი შეცდომა მოსდიოდა, „ინტერის" აარონ ვინტერი კი უკან იყო დაწეული და მაინცდამაინც არ გამოჩენილა, მცველი უფრო ეთქმოდა, ვიდრე შუა ხაზის მოთამაშე.

დანარჩენ ჰოლანდიელთა დახასიათებას არ მოვყვებით. სუსტ მეტოქესთან მატჩის შემდეგ აზრი არ აქვს მათზე დაწვრილებით საუბარს. ხოლო კორეელებზე რა ვთქვათ, ყველაზე მეტად სეო იონგ ვონი გვხვდებოდა თვალში.

მაშ ასე, ჰოლანდიას ორი შეხვედრის მერე 4 ქულა აქვს, ისევე, როგორც მექსიკას. ბელგიას 2 ქულა და კორეასთან თამაში რჩება. კორეა კი ჩემოდანს ალაგებს.

გამოდის, რომ 25-ში სენტ ეტიენში ჰოლანდიისა და მექსიკის თამაშში გაირკვევა მთავარი. შეგახსენებთ, ამ ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს მერვედფინალში გერმანია, აშშ, იუგოსლავია, ირანის მეორე ადგილზე გასული ელის.

**ილია ბაბუნაშვილი**



REUTERS

ვან ჰოიდონკმა ბერხკამპი შეცვალა თუ არა, გოლიც გაიტანა

**ჰოლანდია**

1. ვან დერ სარი

20. ვინტერი 3. სტამი 4. ფ. დე ბური 5. ნუმანი

6. იონკი 16. დავიდსი

7. რ. დე ბური 14. ოვერმარსი

8. ბერხკამპი 11. კოკუ

9. კიმ დო ჰონი 10. ჩოი იონგ სო

11. სეო იონგ ვონი 6. იუ სენგ ჩუი 7. კიმ დო ხონი 15. ლი სანგ იონი

4. ჩოი იუნგ ილი 20. ჰონგ მიუნგ ბო 5. ლი მინ სუნგი 2. ჩოი სუნგ იონგი

1. კიმ ბიონგ ჯი

**კორეა**

შეცვლა: **ჩოი სუნგ იონგი — 13. კიმ ტაე იანგი (53), კიმ დო ჰონი — 14. კო იონგ სო (70), სეო იონგ ვონი — 21. ლი დონგ გუკი (56), ბერხკამპი — 17. ჰოიდონკი (78), ნუმანი — 15. ბოგარდი (79), რ. დე ბური — 12. ზენდენი**

გაფრთხილება: **ჩოი იონგ სო, კო იონგ სო**

მთავარი მსაჯი: **რ. ვუიჩეკი (პოლონეთი)**

### მატჩის შემდეგ

** გუს ჰიდინკი**, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი: კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ნამდვილად კარგი გუნდი მყავს. ჩვენ მთავარი მეტოქე დავამარცხეთ — ჩვენი თავი. ახლა ყველასთვის საშიშნი ვართ. გუნდში შესანიშნავი განწყობაა. გაცილებით უკეთესი, ვიდრე ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე. დღეს ბიჭებმა კარგად ითამაშეს. დაცვაში კორეელებმა გარკვეული პრობლემები გაგვიჩინეს. ამან კი, ცოტა არ იყოს, შეგვაშფოთა. კარგია, რომ პირველი უგოლო თამაშის შემდეგ შედეგიანად ვითამაშეთ. გოლებმა რწმენა შეგვმატა, ეს კი ძალიან კარგია. ხუთი გატანილი გოლის ფონზე აბა თავდასხმაში ხარვეზებზე არ უნდა ვსაუბრობდე, მაგრამ თუ დააკვირდით, არ გამოგრჩებოდათ, რომ გარდა გოლებისა, ჩვენ უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ასეთ თამაშში კი კორეაზე გაცილებით მაღალი კლასის გუნდები არ გვაპატიებენ. მთლიანობაში გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მთავარი ახლა ისაა, მერვედფინალში გავიდეთ, იქიდან კი საქმეს გაცილებით მეტი სერიოზულობით მივუდგებით.

**ბუმ კუნ ჩა**, კორეელთა თავკაცი: ხუთი გოლი გავუშვით, ეს ყველაფერზე მეტყველებს. მესამე ბურთი რომ გაგვიტანეს, ბიჭებს შევუძახე, მიდით, რას გაჩერებულხართ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მათ ძალიან ძლიერად ითამაშეს, ისე, რა დონეზე თამაშიც კორეის გუნდს დღესდღეობით არ ძალუძს. ჩემმა გუნდმა პირველი 25 წუთი კარგად ითამაშა, ჩემს დარიგებებს ფეხბურთელები ზედმიწევნით ასრულებდნენ, თუმცა მერე ყველაფერი აირია. მიუხედავად იმისა, რომ კორეა უკვე გამოეთიშა მსოფლიოს ჩემპიონატს, ვთვლი, რომ აქ მონაწილეობა ჩვენთვის უკვე დიდი მიღწევაა. კორეელები ნიჭიერი ხალხია, ამას მომავალშიც დავამტკიცებთ. მშვიდობით 2002 წლამდე! ჩვენ კორეაში შევხვდებით ერთმანეთს!..

**დენის ბერხკამპი**, ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი: მგონი, კარგი თამაში იყო. ძალიან გამიხარდა, გოლი რომ შევაგდე. ერთი სული მქონდა, როდის გავიტანდი. ვფიქრობ, თავდამსხმელებმა ძლიერად ვითამაშეთ, იმათაც, ვინც ძირითადში იყო და ვინც შეცვლაზე შემოვიდა. შედეგიანობა კარგია, განსაკუთრებით ჯგუფურ ტურნირში. ეს რწმენას გმატებს. ბოლო გოლმა გარკვეული კომპლექსები მომიხსნა, ეს კი თამაშს გააადვილებს.

### მატჩის სტენოგრამა

4 წუთი. რონალდ დე ბური დაახლოებით 11 მეტრიდან არტყამს. მეკარე ადგილზეა.
8. კიმ დო ჰონი მარჯვენა ფლანგზე შეიჭრა და დაარტყა კიდეც, ბურთი კარს მცირედით ასცდა.
14. სეო იონგ ვონი ძალიან აქტიურობს, თუმცა შეტევიდან კუთხურის მეტს ვერაფერს გამორჩა.
16. ბერხკამპი კარგ პასს უკეთებს დავიდსს, ამის დარტყმულს კი მეკარე თითებით წვდება.
23. ბერხკამპი ცდილობს მეკარეს ბურთი თავზე გადაატაროს, თუმცა მეკარესაც აცილებს და კარსაც.
25. დავიდსის შორეულ და ამავდროულად ძლიერ დარტყმას მეკარე კუთხურზე იგერიებს.
29. ჯარიმა ჰოლანდიელთა კარში. ჩოი სუნგ იონგი ლამის სეულში ჩადის და იქიდან არტყამს. მანამდე დროის გაყვანისთვის აფრთხილებენ.
33. ბერხკამპი პენალტს ითხოვს, თუმცა კოვზს ნაცარში უგდებენ. ცრუობდა.
35. სეო იონგ ვონს კარგი შანსი აქვს გოლის გატანისა, თუმცა კარგა მანძილით დაშორებული დავიდსი მაინც ეწევა და მდგომარეობის განმუხტვას ახერხებს.
37. ბერხკამპის პასით კოკუ კორეელთა კარისკენ ტრიალდება და არტყამს. ანგარიში იხსნება 1:0.
41. ჰოლანდიელთა კონტრშეტევას ბერხკამპი იწყებს, თუმცა ბურთს კარგავს. თავის მხრივ, კორეელებიც ცდებიან, იონკის გადაცემას კი ოვერმარსი სათანადოდ იყენებს — 2:0.
49. დავიდსის კარგი პასი ბერხკამპს ფეხებში ებლანდება. კარგი მომენტი ქარს მიაქვს.
54. დავიდსი ეფექტურად თამაშობს, კარში დარტყმულს კი კიმ ბიონგ ჯი იგერიებს.
58. ჩოი იუნგ სო ფრენკ დე ბურს გაცდა, თუმცა ვან დერ სართან ერთი ერთზე დარჩენილმა ბურთი მეკარეს მოარტყა.
60. ბერხკამპის დარტყმულს მეკარე იგერიებს.
68. ოვერმარსის მახვილგონივრული პასის შემდეგ კოკუ ძლიერად არტყამს, თუმცა არაზუსტად.
69. კოკუ ძუნწობს, არადა, გვერდზე მყოფებისთვის რომ ეპასა, სხვაობა გაიზრდებოდა.
71. კორეელთა საჯარიმოში ბერხკამპი ცრუმოძრაობებით ადგილზე აბნევს სამ მეტოქეს, მერე ტერფით ბურთს „ჭრის" და მესამე გოლი გააქვს — 3:0.
79. ოვერმარსი საჯარიმოს აწვდის, იქ კი წუთის წინ შეცვლაზე შესულმა პიერ ვან ჰოიდონკმა თავურით კიდევ ერთი გოლი გაიტანა — 4:0.
82. ლი დონგ გუკი შორიდან კარგად არტყამს. ვან დერ სარი კუთხეში იგერიებს.
84. ვან ჰოიდონკი კორეელთა საჯარიმოში მატაობს, მერე კი რონალდ დე ბურს კარგ პასს აწვდის — 5:0.
88. ჯარიმა კორეელთა კარში. საფრთხეა, თუმცა რაღა დროს საფრთხეა...

# ...ყველა შენი თავითაო

მატჩი №25. 20 ივნისი. ბორდო. სტად ლესიური. 36 500 მაყურებელი

## ბელგია 2:2 მექსიკა

1:0, 2:0 ვილმოტსი (43, 48); 2:1 ასპე (56პ); 2:2 ბლანკო (63)

ხდება ხოლმე, მსოფლიოს ჩემპიონატი გბეზრდება. არადა, მას წლობით ელი. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ფეხბურთის ნახვა აღარ გსურს, უბრალოდ, მასში ძალიან ბევრი გუნდი მონაწილეობს, თასის მოგების უამრავი პრეტენდენტია და არ შეიძლება, კაცს ყველა თამაში მოეწონოს. ფიფამ რომ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა გაზარდა, იქნებ ამით ფეხბურთის განვითარებისთვის მბრუნავ წისქვილზე დაასხა წყალი, მაგრამ ამავდროულად უნებურად ტურნირი ოდნავ უინტერესო გახდა.

მაგალითად, ეს თამაშიც გამოდგება. შეხვედრა უხვგოლიანი იყო და, აქედან გამომდინარე, თითქოს დამაინტრიგებელიც, მაგრამ საქმე სხვაგვარად გახლდათ. ორი საშუალო დონის ნაკრები საკმაოდ მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობდა, გოლები კი ისეთივე გავიდა, როგორი გუნდებიც იყო.

ძალიან უცნაური ნაკრებია ბელგია, ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ხომ ნუღარ იკითხავთ. იცით, რა თქვა „წითელი ეშმაკუნების“ თავკაცმა ჟორჟ ლიკენსმა თამაშამდე? — ჩვენი მიზანი გოლების გატანა, ამავდროულად არგაშვება, სამი ქულის მოხვეჭა და მერვედფინალში გასვლააო. საინტერესოა, ნეტავ რომელი გუნდი ისახავს მიზნად გოლების არგატანას, ბლომად გაშვებას, უქულოდ დარჩენას და ტურნირის პირველივე ეტაპიდან გამოთიშვას? ხალხი ლიკენსისგან რაღაც ახალს ელოდა, მან კი ქვეყნიერებას გეგმები „გაანდო“.

ბელგიელთა სამწუხაროდ, ლიკენსმა მიზანი ვერ შეასრულა. მართალია, ორი გოლი გაიტანა, მაგრამ ამდენივე გაუშვა, ვერც სამი ქულა მოიპოვა და ახლა სახიფათო ფეხბურთის მქადაგებელ კორეელებთან საჭიდაოდ გაიხადა საქმე. თუ „წითელმა ეშმაკუნებმა“ ისევე ითამაშეს კორეასთან, როგორც გუშინ, წასულია მათი საქმე და ეგაა.

ბელგია ორი ბურთით იგებდა, ამავდროულად მეტოქე კაცნაკლული ეთამაშებოდა. შედეგი: ფეხბურთელი თავად ევროპელებმაც მოისაკლისეს. რაც შეეხება გოლებს, იმდენი ქნეს, სანამ ორი ბურთი არ გაუშვეს. რაკი გაძევებულნი ვახსენე, აქვე დავძენ, რომ ფიფას გამო და ამ ორგანიზაციის ფეხბურთელთა უსაფრთხოებაზე ზრუნვით, არაა გამორიცხული, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იაპონია და იამაიკა გავიდნენ. რატომ? — უბრალოდ, ესენი მეტად წესიერ ფეხბურთს თამაშობენ, მეტოქეთა წაქცევას არ კადრულობენ, აქედან გამომდინარე, მსაჯებისგან გაძევებით არ ისჯებიან, სხვები კი... სხვები მალე სათადარიგო შემადგენლობებით ითამაშებენ. 11 დღეა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, გაძევებულ ფეხბურთელთა რაოდენობამ კი ლამის გაფრთხილებულებს გადააჭარბოს.

ახლა მატჩზეც. ბელგია საერთოდ ისეთი გუნდია, მაინცდამაინც შემტევი ფეხბურთის მოყვარული არ გახლავთ, ამიტომ საწყის წუთებში დე ვილდეს საჯარიმოში მექსიკელთა ერთობ ხშირად გამოჩენა გასაკვირი სულაც არ იყო საკვირველი, უბრალოდ ბელგიელთა ბედი იყო — თავდაპირველად რამირესის ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ სუარესმა თავურით ბურთი ხარიხას გაარტყა. ლუის ერნანდესის დამატებულს კი ზედ კარის ხაზზე დენი ბოფინი გადაელობა. მოგვიანებით კვლავ ხარიხამ იხსნა ევროპელები. ამჯერად მარცხენა ფლანგიდან შეჭრილი ორდიალესის დარტყმული მოულოდნელად სხვანაირი ტრაექტორიით წავიდა, ბურთი ჰაერში შეფრთხიალებულ დე ვილდესაც გადაახტა და თითქოს ბადეშიც უნდა ჩაშვებულიყო, მაგრამ კვლავ ხარიხა. ასე თუ ისე დასაწყისი საინტერესო შეხვედრის ხილვის იმედს აღვივებდა, თუმცა...

შეუძლებელი იყო სახიფათო მომენტს გოლი არ მოჰყოლოდა. მართლაც მალე ბელგიელებმა იხეირეს. როგორც ჩანს, სიძველისგან დამტვერილი საფეხბურთო, თანაც დაუწერელი კანონი ამოქმედდა — თუ ვერ გააქვს, გაგიტანენ. მეტოქის ჩაწოდებულის მოგერიებას თითქმის მთელი მექსიკური დაცვა ეცადა, მაგრამ ბედმა უმუხთლათ — ბურთი გასცდა ყველას და ყველაფერს, გარდა მეკარის სამფლობელოში შეჭრილი მარკ ვილმოტსის ფეხს. გელზეკირხენის „შალკეს“ ნახევარმცველს ბურთი სრულიად შემთხვევით შეეხო წვივზე და ჩია კამპოსს ფეხებსშუა გაუძვრა. გოლი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მექსიკელები დაიბნენ, როგორც აღმოჩნდა, ტაიმის მიწურულამდე.

ანგარიშის გაორმაგებაც უცნაურად მოხდა — იმავე მარკ ვილმოტსმა ერთი მეტოქეთაგანი ლამაზად ჩამოიშორა, მეორეს დაეჭიდა, მესამეს ეჯაჯგურა და საბოლოოდ რამდენიმე ლიტრი ოფლის ღვრის შემდეგ თვალებგაფართოებულ კამპოსს მეორედ გაუტანა. ამჯერად შორეულ კუთხეში.

იგებ, საქმე ჩინებულად აგიწყვია, შენ კი მაინც არ ისვენებ და აუტკივარ თავს იტკიებ. სწორედ, თავისივე უცნაურობამ დალუპათ 2:0-ის შემდეგ. ბელგიელები მოეშვნენ, ბურთის დაჭერა სცადეს, მაგრამ მწარედ მოტყუვდნენ. მექსიკელებმა ტემპს შესამჩნევად უმატეს, რამაც მეტოქის გადაბერებული ნახევარდაცვა ცნობილი ენცო შიფოს მეთაურობით (სხვათა შორის იგი ამ მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად თამაშობდა) ხერხემალში გადატეხა, მოედნის ცენტრის დაპყრობის შემდეგ აღარც ბელგიელთა საჯარიმოში თარეში ჭირდა.

სხვაობა მალევე გაბათილდა — თავდაპირველად მსაჯმა უხეშობაში ეჭვმიტანილი ვერჰეინის გაძევებას პენალტი დაურთო, რომელიც არაფრისმაქნისმა გარსია ასპემ გოლად აქცია, მერე კი ერთობ ლამაზი კომბინაციით მექსიკელმა, კერძოდ კი, კვატემიკ ბლანკომ მეორედ შეარხია თავგზააბნეული დე ვილდეს კარის ბადე. რაკი ბლანკო ვახსენე, ამ კაცის უცნაურობებზეც ვიტყვი — პირველი შეხვედრა იყო და ბურთს ფეხებში მოიგდებდა და აღმა-დაღმა დახტოდა, ახლა კი ცალ ფეხზე წითელი ბუცი ეცვა, მეორეზე მწვანე.

63-ე წუთზე 2:2 რომ გახდა, თითქოს დროც საკმაო იყო სხვაობის გასაზრდელად, მაგრამ გოლს არა და არ დადგა საშველი. მომენტები კი თუ იქმნებოდა, საკმაოდ სახიფათო.

ბელგიას ბოლო შეხვედრა კორეასთან აქვს. მატჩი სავარაუდოდ დაძაბული უნდა იყოს, მაგრამ ამ ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ვარაუდი ხშირ შემთხვევაში არ მართლდება. რაც შეეხება მექსიკას, მისი ბედი ჰოლანდიასთან გადაწყდება. თუმცა, თუ ყველაფერი მექსიკელთათვის სათანადოდ აეწყო, მათ მერვედფინალს შეიძლება გუს ჰიდინკის გუნდთან მარცხის შემთხვევაშიც უწიონ.

**ლაშა გოდუაძე**



ბელგიელი ვიდოვიჩი (№4) ერნანდესის წინააღმდეგ უხეშობასაც არ თაკილობდა

**ბელგია**

1. დე ვილდე

22. დეფლენდრე | 4. ვიდოვიჩი | 3. სტალენსი | 5. ბორკელმანსი

21. ბოფინი | 6. ვან დერ ელსტი | 14. შიფო | 7. ვილმოტსი

10. ნილისი | 8. ოლივეირა

11. ბლანკო | 15. ერნანდესი

8. გარსია ასპე | 7. რამირესი | 20. ორდიალესი | 17. პალენსია

5. დავინო | 3. სანჩესი | 2. სუარესი | 13. პარდო

1. კამპოსი

**მექსიკა**

შეცვლა: **ბოფინი — 18. ვერჰეინი (18), პალენსია — 21. არელანო (46), ორდიალესი — 4. ვილა (58), ვან დერ ელსტი — 16. დე ბეკი (67), გარსია ასპე — 14. ლარა (68), ნილისი — 29. ლ. მპენზა (77)**

გაფრთხილება: **რამირესი, ვიდოვიჩი**
გაძევება: **პარდო (29), ვერჰეინი (55)**

მთავარი მსაჯი: **ჰ. დალასი (შოტლანდია)**

### მატჩის შემდეგ

**ჟორჟ ლიკენსი**, ბელგიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: როდესაც 2:0-ს იგებ და შემდეგ მატჩი ფრედ მთავრდება, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იქნები. ბიჭებმა ნაადრევად ჩათვალეს, რომ შეხვედრა მოგებული ჰქონდათ, მაგრამ მექსიკელებმა მშვენივრად ითამაშეს და თავისას მიაღწიეს. მატჩი მართლაც ძალიან ძნელი გამოდგა, რაზეც თუნდაც ის მეტყველებს, რომ თითოეულმა მოთამაშემ ოთხი კილო დაიკლო. დღეს ძალიან ცხელოდა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა შეხვედრის დასაწყისში შეცვლაც კი მთხოვა. მომდევნო მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რათა მერვედფინალში გავაღწიოთ, ამიტომ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს.

**მანუელ ლაპუენტე**, მექსიკელთა თავკაცი: ძალიან მძიმე თამაში იყო. თითქმის ერთი ტაიმი კაცნაკლულები ვიყავით, რამაც საქმე კიდევ უფრო გაგვირთულა, თუმცა ბიჭებმა იყოჩაღეს და მეტოქეს არაფერი დაუთმეს. ჩვენ ქულა მოვიპოვეთ, მაგრამ არც ის იქნებოდა გასაკვირი, სამი ქულა რომ აგვეღო.

**ენცო შიფო**: დასანანია, მატჩი ფრედ რომ დასრულდა, ჩვენ ხომ 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება და გასაკვირი არაფერია. პენალტმა და 10 კაცით დარჩენამ ჩვენზე ფრიად უარყოფითად იმოქმედა. საერთოდ, ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ თამაში მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმაზე მთავრდება. ჩვენ კი ნაადრევად დავიგულეთ თავი გამარჯვებულად.

**ბერტ ვერჰეინი**: იმის მაგივრად, რომ 3:0 მოგვეგო, მატჩი ფრედ დავასრულეთ. ამაში ბრალი უპირველესად თავად ჩვენ მიგვიძღვის, თუმცა მას შემდეგ, რაც გოლი გავუშვით და მე გამაძევეს, ანგარიშის შენარჩუნება ძალიან გაძნელდა.



კვატემოკ ბლანკომ (მარჯვნივ) ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა

### მატჩის სტენოგრამა

5 წუთი. ოლივეირამ დარტყმა დააგვიანა, მცველმა „პადკატში“ წაართვა. ჭკუით რომ ეთამაშა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

12. რამირესმა მარცხნიდან კუთხური მოაწოდა. სანჩესმა ბურთს თავი პირველმა შეაგება და ხარიხას მოარტყა. იქვე ერნანდესი ამატებდა, მაგრამ მცველმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

14. ოლივეირამ და ვილმოსტმა საჯარიმოს ხაზთან კარგად გაითამაშეს. ვილმოსტმა ბოლოს დაარტყა კიდეც. კამპოსმა გაჭირვებით მოიგერია.

22. ორდიალესს ფლანგიდან ჩაწოდებისას ბურთი ფეხზე აეჭრა და აბრაგანის ნაცვლად ბურთი კარისკენ წავიდა, ხარიხას გაეცაცუნა.

43. ოლივეირამ მარცხნიდან კუთხური ჩააწოდა. მცველებმა უყურადღებოდ დატოვეს ვილმოტსი, რომელსაც ბურთი მკერდზე მოხვდა და კამპოსს ფეხებშუა გაუძვრა. ბელგია დაწინაურდა.

47. ოლივეირამ ბუთრს თავი კარგად ვერ მოარტყა.

49. ვილმოტსი მცველებშუა გაძვრა, სუარესსაც ზედ გადაუარა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გააორა.

51. ისევ ოლივეირა. ამჯერად ასისტენტის როლში. ვან დერ ელსტმა კარს ოდნავ ააცილა.

53. ასპეს ჯარიმა დე ვილდემ მოიგერია.

55. რამირესი საჯარიმოში ვერჰეინმა წააქცია. წითელი ბარათიც დაიმსახურა და მსაჯს პენალტიც დაანიშნინა, რომელიც ასპემ ზუსტად შეასრულა.

60. შიფოს დარტყმული კარს ოდნავ ასცდა.

62. ბელგიელი მცველები ისევ შეცდნენ. კონტრშეტევა გაეპარათ. რამირესმა ფლანგიდან ბლანკოს ჩაუწოდა და ანგარიშიც გათანაბრდა.

65. ასპეს დარტყმული დე ვილდემ ბოლო მომენტში უკუაგდო.

87. ვილმოტს კამპოსმა აჯობა.

89. არელანოს ინდივიდუალური ოსტატობა გოლით შეეძლო დაეგვირგვინებინა. დე ვილდემ სასწაულად აუღო.

# კალენდარული შეხვედრა

მატჩი №26. 20 ივნისი. ნანტი. სტად დე ლა ბოჟუარი. 40 000 მაყურებელი

## იაპონია 0:1 ხორვატია

1:0 შუკერი (77)



ხორვატი დავორ შუკერი იმ ძელზე ჰკიდია, რომელსაც წამის წინ ბურთი გაარტყა

ძნელია მიმოიხილო თამაში, რომლის მთავარი ღირსებაც ისა გგონია, რომ ადრე, თუ გვიან, დავორ შუკერი გოლს გაიტანს და ყველაფერს წერტილს დაუსვამს.

მსოფლიოს ჩემპიონატი თანდათან ჩადგა ჩვეულ, მოსაწყენ რიტმში და მისიგამოცოცხლების ბედი ჯგუფური შეჯიბრის მესამე ტურის ზოგიერთ თამაშზე თუღა ჰკიდია (თუმცა, დღევანდელ გერმანია — იუგოსლავიასაც არ უჩანს ურიგო პირი). ასე რომ, ხორვატია — იაპონიის შეხვედრა ძალიან ჰგავდა ე.წ. სსრკ ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს, რომელშიაც ალმა ატის „კაირატს" გადაეწყვიტა, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც, ვაჟკაცურად ეთამაშა მოსკოვის „სპარტაკის" წინააღმდეგ. მოსკოვის „სპარტაკს" კი ჰყავდა ფედია ჩერენკოვი, რომელიც, მაშინაც კი, როცა გუნდს სიცხე აწუხებდა და თამაში არ გამოსდიოდა, მაინც დაძვრებოდა მოწინააღმდეგის მცველთა შორის და მაჩანჩალებს მაჩანჩალურ გოლსაც გაუტანდა. ეს „სპარტაკს" ყოფნიდა, „კაირატს" კი მეტი არაფერი შეეძლო.

ნანტის ძველი სტადიონის ტრიბუნები იაპონელ გულშემატკივრებს გაევსოთ. აქა-იქ ხორვატული კუნძულებიც ჩანდა. რობერტ პროსინეჩკის საბრძოლო განწყობილების იერით განმტკიცება თუ უნდოდა და ალბათ ამიტომაც აეპარსა კისერი ასე დაუნდობლად. ეს უსიმპატიო გარეგნობის კაცი ერთ დროს საკმაოდ სიმპატიური ფეხბურთელი იყო. ეგ „ერთი დრო" კი ზუსტად რვა წლის წინათ იდგა, როცა პროსინეჩკი იუგოსლავიის ნაკრებში თამაშობდა. პროსინეჩკის ანდაზა სცოდნია, აქლემი ისე არ წაიქცევა, ვირის ტვირთი არ ზიდოსო და ალბათ ამიტომაც აგრძელებს თამაშს.

და საერთოდ, ეს მთელი ხორვატიის ნაკრების ანდაზა უნდა იყოს. იყო დრო, რომ ხორვატებს ბევრად მეტი ტვირთის ზიდვა შეეძლოთ და ბევრად ცინცხალნიც იყვნენ. ახლა, ამ გუნდის საპალნე დაცოტავებულა და ფეხბურთელებიც ალალად ღვრიან ოფლს, რომ რაღაც გამოუვიდეთ და ტვირთი ადგილზე მიიტანონ.

გუშინ ამ ტვირთის მთავარი მზიდავი ხორვატ მცველებთან ერთად დავორ შუკერი იყო. რახან უდროო დროს წაქცეული ალენ ბოკშიჩი მხარში არ უდგას, შუკერი მარტოდაა დარჩენილი წინა ხაზზე და თავსაც იკლავს. ვერც ალიოშა ასანოვიჩის თამაშის ხულიგნური მანერა, ვერც მარიო სტანიჩის ვითომდამწვავე შეჭრები საჯარიმოში ვერ გამოიღებს შედეგს, თუ ხორვატებს შუკერი არ ეყოლებათ. და ალბათ კიდევ, ზვონიმირ ბობანი, რომელსაც გუშინ არ უთამაშია, მაგრამ ამ გუნდისთვის კვლავაც შეუცვლელ კაცად რჩება.

ეს თამაში შუკერმა მოაგებინა ხორვატებს. მან ხუთ-ექვსჯერ დაარტყა იაპონელთა კარში და როგორც ოდნავ დაქანცულ ჭეშმარიტ მეგოლეს, ერთი ყისმათიანი გამოადგა. სხვა გოლის გამტანი კაცი გუშინ ნანტის მინდორზე არ იდგა არც ერთ და არც მეორე მხარეს.

და იაპონია?

იაპონია სამურაების ქვეყანა იყო. იაპონიას კეთილი, ზრდილობიანი გულშემატკივრები ჰყავს და ძალიან კარგი კომპიუტერები და ტელევიზორები აქვს. იაპონია ჯერ კიდევ ისწავლის ფეხბურთის თამაშს. უფრო სწორად იმას, რაც ფეხბურთს სწავლის გარეშე სჭირდება: ანუ თამაშის უნარის ძვალსა და რბილში ყოფნა და არა მისი სწავლით შეძენა.

თუმცა, იაპონიის ნაკრებს ჰყავს ორი გამორჩეული ფეხბურთელი. ერთი მათგანი ბრაზილიელი ვაგნერ ლოპესია, რომელიც, რატომღაც მაშინ გამოჰყავთ ხოლმე მოედანზე, როცა თამაშის დამთავრებას აღარაფერი უკლია. მეორე კი, რა თქმა უნდა, ქოლალთმიანი ნაკატაა, რომელიც მშვენიერი გამთამაშებელი გახლავთ და ორივე თამაშში ქებას იმსახურებდა.

ნაკატას საუცხოო პასები, აზრიანი გადაადგილებები და საკმაო სისწრაფე აქვს. სწორედ ის და მესამე ნომერი იოკი სომა არიან იაპონიის გუნდის მთავარი ძალა. თავდამსხმელები იაპონიის ნაკრებს არ უვარგა. ისინი აზიის ვარსკვლავები კი არიან, მაგრამ მსოფლიოს მხოლოდ გრძელი თმით თუ დაამახსოვრებენ თავს.

იაპონიის ნაკრებმა კარგად ითამაშა. კარგად თამაშში იმას ვგულისხმობ, რომ იაპონელებმა შეძლეს მთელი ტაიმნახევრის განმავლობაში დაძაბულობის ქვეშ ჰყოლოდათ ხორვატები, რომელთა ძუნძულის აღწერაც ყოვლად შეუძლებელია. იაპონელები უკეთ მოძრაობდნენ, უკეთ ათამაშებდნენ ბურთს და ნაღდად გონებით შობილი საგოლე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ რად გინდა? ხორვატი მცველი, ან ხორვატი მეკარე ძალიან სჯობს იაპონელ თავდამსხმელს. ესე იგი, ერთი ხორვატი ერთ იაპონელზე უკეთესია და ფეხბურთი იმითაც არის საუცხოო თამაში, რომ სწორად მოარული უბრალო რაზმეულს ერთი ვარსკვლავი გაუნგრევს ხოლმე კედელს.

ახლაც ასე მოხდა, სანამ ნაკატას ამხანაგები ნაკატას ნაჯახირებ პასებს აფუჭებდნენ ლადიჩთან პირისპირ დარჩენილნი, ხორვატთა ყოველი კონტრშეტევა ძალიან საშიში იყო. იაპონელთა კარის კლიტე განსაკუთრებით თამაშის ბოლოსკენ დაიბზარა, ე.ი. მაშინ, როცა ამომავალი მზის ქვეყნის შვილები აშკარად დაიღალნენ. ხორვატები კი მთელი თავიანთი გამოცდილებით აშკარად უფრო მზად იყვნენ სახეიროდ. ასეც მოხდა. ხორვატიამ სამი ქულა ჩაიწერა და თავის პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე თავის პირველ მერვედფინალში გავიდა.

რობერტ პროსინეჩკისთვის კი ეს მეორე მერვედფინალია ცხოვრებაში. უფრო მეტიც, პროსინეჩკი დღევანდელთაგან ერთადერთი ხორვატია, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში რომ უთამაშია. ექნება კი „გადარეულ რობის" მეორედ ამის საშუალება?

საეჭვოა, მაგრამ ბურთი მრგვალია.

ეს თამაში კი ნაღდად კალენდარული იყო და ძნელია იფიქრო, რომ კალენდარული თამაშით მეოთხედფინალში გააღწევ.

**ირაკლი გამყრელიძე**

იაპონია

20. კამაგუჩი

2. ნარაჰაში — 17. აკიტა — 4. იჰარა — 19. ნაკანიში

6. იამაგუჩი — 10. ნანამი — 3. სომა

8. ნაკატა

18. ჯო — 9. ნაკაიამა

13. სტანიჩი — 9. შუკერი

7. ასანოვიჩი

17. იარნი — 8. პროსინეჩკი

21. იურჩიჩი

4. სტიმაჩი — 14. სოლდო — 6. ბილიჩი — 20. სიმიჩი

1. ლადიჩი

ხორვატია

შეცვლა: **სტიმაჩი — 18. მამიჩი (46), ნაკაიამა — 14. ოკანო (61), პროსინეჩკი — 11. მარიჩი (67), ნანამი — 12. ლოპესი (84), სტანიჩი — 15. ტუდორი (88)**

გაფრთხილება: **პროსინეჩკი, ნანამი, ნაკანიში, სტანიჩი, აკიტა**

მთავარი მსაჯი: **რ. რამდანი (ტრინიდადი და ტობაგო)**

### მატჩის შემდეგ

**დავორ შუკერი:** „ასეთ სიცხეში თამაში ნამდვილი ჯოჯოხეთია, თუმცა ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, მთავარია, რომ გავიმარჯვეთ და ისტორიულ შეხვედრაში სამი ქულა მოვიპოვეთ. ახლა არგენტინის დამარცხებას შევეცდებით. რატომაც არა? პირველ ადგილზე გვინდა გასვლა. თუ მოვიგებთ, საღამოს გვთამაშებენ მერვედფინალს, თუ ვერა და შუადღისას, ეს კი არ გვინდა.

**მიროსლავ ბლაჟევიჩი:** „ვამაყობ, რომ ამბიცია დავიკმაყოფილეთ. ჩვენ პატარა ერის შვილები ვართ, რომლებიც, ელიტაში გავერიეთ. კმაყოფილი ვარ მცველების თამაშით. ერთადერთი გოლის გატანა მაეჭვებდა. ვხედავდი, რომ ძალიან ბევრ მომენტს უშვებდნენ ბიჭები ხელიდან. და ეს შეიძლებოდა ჩვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნებულიყო. საბედნიეროდ ჩვენ ვიცით დროის ყადრი და აკი გავიმარჯვეთ კიდეც".

**ტაკეში ოკადა:** „ჩემპიონატის წინ მიზნად მერვედფინალში გასვლა დავისახეთ. ახლა, სამწუხაროდ მიზნის მიღწევის შანსი ძალიან შეგვიმცირდა. ფეხბურთელები გულგატეხილნი არიან, მათ ხომ მოგება უნდოდათ, მაგრამ არა უშავს, ამით იაპონური ფეხბურთის ისტორია არ მთავრდება".

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი: პროსინეჩკის საჯარიმო იაპონელთა კედელმა აისხლიტა.

8. შუკერმა საკმაოდ შორიდან თავით დაარტყა, სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად

12. ისევ ჯარიმა. ამჯერად შუკერის შესრულებით. ბურთი მიზანს ასცდა.

13. რომამ კინაღამ გაიტანა. ახლოდან დარტყმული კარს ოდნავ აცილა.

18. სტანიჩი კოჯიმასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მეტად უხეიროდ დაარტყა, ამანაც აცილა.

22. პროსინეჩკიმ ერთობ იჯამბაზა, დააყოვნა და მერე ძალიან აცილა.

23. ასანოვიჩის სუსტად დარტყმულს კოჯიმა ადგილზე დაუხვდა.

32. ნაკატომ გონივრული პასით აკაიამა ლადიჩთან პირისპირ დატოვა, ამანაც კარგად დაარტყა, მაგრამ მეკარემ თქვას, ღმერთმა გადმომხედაო — ბურთი ხელს მოხვდა.

34. შუკერმა მშვენიერი მომენტი გააცუდა. კოჯიმა ჩანაფიქრს მიუხვდა და იოლად აუღო.

43. ნაკაიამამ თავური სარეკლამო ფარს მოარტყა.

56. ჯომ მაკრატელა დაარტყა, ლამაზად და არაზუსტად.

66. შუკერმა ვერც ამჯერად დაუმიზნა კარს. არადა, თავით თავისიანების დაწინაურება შეეძლო.

72. შუკერმა კოჯიმას ბურთი თავზე გადაუგდო. თუმცა ტრაექტორია ვერ მოზომა, ბურთი ხარიხას მოხვდა და უკან გადავარდა.

76. მოუსვენარმა შუკერმა როგორც იქნა, სანადელი აისრულა. საჯარიმოში უყურადღებოდ დარჩენილმა ბურთი მშვიდად გააჩერა, გაისწორა და შეაგდო. ისე, კოჯიმას შეეძლო, თანაგუნდელები ერთხელაც გადაერჩინა.

81. ნაკატას ჩაწოდებულზე ლოპერის თავურმა ძელს გვერდით ჩაუარა.



ბევრი იაპონელი ელის კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს

მატჩი №28. არგენტინა — იამაიკა. პარიზი. 19:30

# არგენტინა მაინც ფრთხილობს

ეს ჯგუფი კენჭისყრის ჩატარების დღიდანვე ერთ-ერთ ყველაზე სუსტად შერაცხეს. მართლაც, მხოლოდ იმ ფაქტის გახსენება რად ღირს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ოთხი დებიუტანტიდან სამმა — იაპონიამ, იამაიკამ და ხორვატიამ სწორედ აქ მოიყარეს თავი. მართლია, ხორვატიის ნაკრებს ფეხბურთის სპეციალისტებმა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ფინალურ ეტაპზე გასული საუკეთესო დებიუტანტი უწოდეს, მაგრამ უდიდეს სპორტულ ასპარეზობაზე თამაშის გამოცდილების უქონლობა მაინც ბევრს ნიშნავს და ამ გუნდს დიდი მიზნებისთვის ბრძოლა ძალიან გაუჭირდება. სწორედ ამიტომ, საყოველთაო მოსაზრებით, არგენტინის ძლიერ ნაკრებს ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება პრობლემად არ უნდა ექცეს და, ალბათ, ასეც იქნება. თუ დღევანდელი მატჩის წინ გამოჩენილი საფეხბურთო მოღვაწეების პროგნოზებს გადავავლებთ თვალს, ნათელი გახდება, რომ ამ ტურშიც ყველა ჯგუფის უპირველესი ფავორიტის მორიგ გამარჯვებას ელის. თუმცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონთა თავკაცი დანიელ პასარელა შექმნილ სიტუაციას სალად აფასებს და ცდილობს, შეხვედრის წინ თავის ქვეშევრდომებს უძლეველობის ილუზია გაუფანტოს.

— მართალია, იამაიკელებმა პირველი თამაში მეტად სუსტად ჩაატარეს, მაგრამ ეს სულაც არ გახლავთ ის გუნდი, რომელსაც შენი სურვილისამებრ ნებისმიერ დროს დაამარცხებ. „რეგი ბოიზი" ხელწამოსაკრავი ნაკრები ნამდვილად არ არის და ეს მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე გამართულ რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრაშიც დაამტკიცა. ჩვენთვის დღევანდელი მატჩი მეტისმეტად რთული იქნება, რადგან მეტოქეს მერვედფინალში გასასვლელად მხოლოდ მოგება აძლევს ხელს და ყველა ღონეს იხმარს, რათა ამ საღამოს სამი ქულა მოიპოვოს. ვიცი, შეიძლება თქვან, გამარჯვებაში დარწმუნებულია და ფრთხილი ლაპარაკით თავს იზღვევსო, მაგრამ მერწმუნეთ, იამაიკელებთან ნამდვილად ვერ გავისეირნებთ. დღეს ისეთივე დაძაბული შეხვედრა იქნება, როგორც აქამდე ჩატარებული ნებისმიერი სხვა — აცხადებს დანიელ პასარელა.

იამაიკის ნაკრებს მართლაც ბოლო შანსი აქვს. ხორვატებთან განცდილი მარცხის შემდეგ მათ შემდეგ წრეში გასასვლელად ერთადერთი გზა რჩებათ — დღეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა წააგონ. არადა, გავიხსენოთ, რა დღეში იყვნენ ლეგენდარული მომღერლის ბობ მარლის თანამემამულენი ჩემპიონატის დაწყებამდე. ოცდათორმეტ ფინალისტს შორის მოხვედრამ ისინი იმდენად გაადიდგულა, რომ არავის ეპუებოდნენ და ბაქიაობით ყველას ყურები გამოუჭედეს. იამაიკელებმა ძირითადად მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ბრაზილიასთან ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ ამოიდგეს ენა. აქაოდა, ბრაზილიელებმა ვერაფერი დაგვაკლეს და სხვამ რა უნდა გვიყოსო. ალბათ, ამიტომ იყო, პირველ შეხვედრაში ხორვატებს ამაყად რომ გამოუცხადეს, ჭკვიანად იყავით, თორემ რეგის ცეკვას გასწავლითო. სინამდვილეში კი რისი გამკეთებელიც იყო უბადრუკი იამაიკის ნაკრები, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებიდან სულ რამდენიმე დღეში გამოჩნდა. ვარსკვლავებით გადაჭედილმა ხორვატიის ნაკრებმა ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარა მეტოქეს და რომ მოენდომებინა, დიდი ანგარიშითაც დაამარცხებდა. ისე კი უნდა აღინიშნოს, რომ იყო ერთი მომენტი, როდესაც „რეგი ბოიზმა" ინიციატივა იგდო ხელთ და ანგარიშიც კი გაათანაბრა, მაგრამ სულ ეს იყო. მეორე ტაიმში ხორვატები სრულად მობილიზებულნი გავიდნენ მინდორზე და გათამამებულ იამაიკელებს სულ კუდით ქვა ასროლინეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელები მაინც დიდი სიფრთხილით ეკიდებიან დღევანდელ მატჩს და თვლიან, რომ თავდაჯერება კარგს არაფერს მოუტანთ.

— შეიძლება, ეს ზოგს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ იამაიკას ჩვენი დამარცხება ძალუძს. არგენტინის ნაკრებმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოავლინოს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ძალების დაზოგვა, სრულიად ადვილი მოსალოდნელია, ძვირად დაგვიჯდეს. მოგეხსენებათ, დღეს ფეხბურთის დონე მთელს მსოფლიოში გათანაბრდა. უკვე აღარ არსებობენ ისეთი გუნდები, რომლებიც უბრძოლველად თმობენ შეხვედრებს. ყოველი ნაკრები ფიზიკურ მომზადებას უთმობს ყურადღებას და ამიტომ მათთან სულ ოდნავი მოდუნებაც არ შეიძლება — აცხადებს არგენტინელთა ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ნახევარმცველი არიელ ორტეგა, რომელსაც სხვა მოთამაშეებიც უჭერენ მხარს.

იამაიკელთა მთავარი მწვრთნელი, ბრაზილიელი რენე სიმოეში კი თურმე დიდი ხანია, აკვიდრება პასარელას აღსაზრდელების თამაშს და კარგად უწყის, თუ როგორ შეიძლება მათი დამარცხება.

— მას შემდეგ, რაც კენჭისყრა ჩატარდა და ჩვენი მეტოქეები ვინაობაც გაირკვა, დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მათ სამზადისს. თუმცა მთავარი ყურადღება მაინც არგენტინელებზე მქონდა გადატანილი და ამიტომ მშვენივრად ვიცი ამ გუნდის ავ-კარგი. დარწმუნებული ვარ, არგენტინელები თამაშის დაწყებისთანავე შემოგვიტევენ და ჩვენს დათრგუნვას შეეცდებიან, მაგრამ ჩემი გუნდი ამისთვის მზად იქნება. იამაიკა არც ისე სუსტია, როგორც ეს ბევრმა პირველი მატჩის შემდეგ ჩათვალა. „რეგი ბოიზს" მზაკვრული მახეების დაგებაც ეხერხება და ადვილი შესაძლებელია, არგენტინელებიც იმსხვერპლონ. თუმცა კონკრეტულ სქემას, რითაც სამხრეთამერიკელების გაკვირვებას ვაპირებთ, ჯერ ნამდვილად ვერ გაგიმხელთ — ეს საიდუმლო მხოლოდ მე და ნაკრების ფეხბურთელებმა ვიცით.

დანიელ პასარელამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მადრიდის „ატლეტიკოში" გადასული ხოსე შამოტი, რომელიც წინა თამაშში იაპონელებთან შეხვედრისას მოედანზე შეცვლაზე მხოლოდ ბოლო ოცი წუთით შევიდა, სადღეისოდ სრულ მზადყოფნაშია და ადვილი შესაძლებელია, გუნდის სასტარტო შემადგენლობაშიც ვიხილოთ. თუკი ამ საღამოს შამოტი მოედანზე გავა, მაშინ სათადარიგოთა სკამზე დარჩენა შვეიცარიულ „ლუგანოში" მოასპარეზე ნელსონ ვივასს მოუწევს, რომელმაც პირველ თამაშში თავი მაინდამაინც ვერაფრით დაგვამახსოვრა. არგენტინის ნაკრებში სხვა მხრივ არაფერი შეცვლილა და გუნდის სასტარტო შემადგენლობაშიც ვივასის გარდა ყველა იმ ფეხბურთელს ვიხილავთ, რომლებმაც იაპონიასთან ითამაშეს. ერთი პირობა გუნდის ექიმი შიშობდა, ვაითუ პარმელმა ნესტორ სენსინიმ იამაიკასთან მინდორზე გასვლა ვერ შეძლოსო, მაგრამ მცველმა ტულუზის მატჩის დროს მიღებული თითის ტრავმა თითქმის მოირჩინა და დღეს ხელშეხვეული ითამაშებს.

რაც შეეხება იამაიკის გუნდს, აქაც ერთი ცვლილებაა მოსალოდნელი. ნაკრები სადღეისოდ ხორვატებთან დაშავებულ მცველს, ლინვალ დიქსონს მოიკლებს.

გუშინწინ ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა. ხორვატიის ნაკრების კარში გოლის გამტანმა რობი ერლიმ ბრიტანული ტელევიზიის ერთ-ერთი არხის წამყვანს მეტად ორიგინალური რამ განუცხადა:



ნესტორ სენსინი ხელშეხვეულიც მწყობრშია

— იამაიკის ნაკრები მერვედფინალში გასვლას იმსახურებს და ჩვენ არგენტინელებთან მატჩში თავს არ დავზოგავთ, რათა სასურველ შედეგს მივაღწიოთ.

და ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები თავიანთ ისტორიაში მხოლოდ ერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. ეს 1975 წელს მექსიკაში გამართულ პანამერიკულ თამაშებზე მოხდა და მაშინ არგენტინელებმა 6:0 იმარჯვეს.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

არგენტინა: როა, სენსინი, აიალა, შამოტი, ძანეტი, ალმეიდა, ვერონი, ორტეგა, სიმეონე, ბატისტუტა, ლოპესი

იამაიკა: ბარტი, სინკლერი, ლოუი, გუდისონი, უაიტმორი, ერლი, კერჯილი, სიმპსონი, გარდნერი, ჰოლი, ბარტონი

**ირაკლი ხმელიძე**

# სიყვარულით დაამარცხეთ მტერი

რა თამაშია დღეს, პოლიტიკური თუ საფეხბურთო? რომელი იდეოლოგიების დაპირისპირებაა, სპორტული თუ სახელმწიფო?

აშშ და ირანი მტრები არიან.

რასაკვირველია ორივე გუნდი ხმამაღლა ერთსა და იმავეს ამბობს, მოედანზე პოლიტიკას არაფერი ესაქმებაო. სხვა განცხადებები არც იყო მოსალოდნელი, მაგრამ შეუძლებელია, რაც ითქვა სინამდვილე იყოს. ირანში ხალხის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი შეძახილია „სიკვდილი ამერიკას", ამერიკაში ჯგუფურ ყვირილს მართალია დიდი ხნის წინ გადაეჩვივენ, მაგრამ შეუძლებელია ტელევიზიით არ მოესმინათ, რომ ირანი მთლად კარგი ქვეყანა არ არის.



ლალასმა იცის, რომ ფეხბურთი პოლიტიკა არ არის

„ჩვენ დღევანდელ შეხვედრას განვიხილავთ, როგორც საფეხბურთო დაპირისპირებას და მეტს არაფერს" — ამბობს ამერიკელთა მცველი, თხასავით წვერითა და კარგი თამაშით ცნობილი ალექსი ლალასი.

ლალასს იქნებ მართლაც ასე ჰგონია, მაგრამ იქ, ვაშინგტონსა და თეირანში ძალიან ეწყინებათ წაგება. ამ თამაშზე ჯერ კიდევ კენჭისყრიდან მოყოლებული მთელი მსოფლიო ბევრს ლაპარაკობს და ისე ელის, თითქოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გადამწყვეტი მატჩი იყოს.

არადა, რა გადამწყვეტი, რის გადამწყვეტი, F ჯგუფში, სადაც დღევანდელი მეტოქეები გამოდიან, ფავორიტებად გერმანია და იუგოსლავია ითვლებიან. ყველასთვის საუცხოოდ არის ცნობილი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ირანი მათთან ვერ მივლენ და ეს პირველმა წრემ აკი დაადასტურა: გერმანიამ აშშ-ს 2:0 მოუგო, იუგოსლავიამ ირანს — 1:0.

ფორმალურად, აშშ — ირანის შეხვედრაში გამარჯვებული მერვედფინალში გასვლის შანსს შეინარჩუნებს. თუ აშშ-მ მოიგო და გულში იმედი ჩაისახა, რომ გაიმეორებს იმას, რაც ოთხი წლის წინ შინ მოახერხა ანუ ჯგუფურ ეტაპს გასცდება, მაშინ მას სამი ქულა ექნება და იუგოსლავიასთან მოუწევს „ნას კაკოის" დამტკიცება. თუ სპარსელები სძლევენ შაითანს, მაშინ ისინიც სამქულიანები, ბოლოს გერმანიას უნდა დაუდგნენ. ბევრი რამ გერმანია — იუგოსლავიის შეხვედრის ანგარიშზეც იქნება დამოკიდებული, მაგრამ ამ აბზაცის ბოლოს თქვენი ნებართვით, დავწერთ იმავე სიტყვას, თავში რომ დავწერეთ — ფორმალურად.

„იმედი მაქვს, რომ ირანი ისტორიში პატიოსნად შევა, თუმც დღევანდელი სიტუაცია მის ფეხბურთელებზე დიდ ზეწოლას ახდენს" — განაგრძობს ლალასი — „ჩვენ საკმაოდ გონიერი ხალხი ვართ და კარგად გვესმის, რომ მთავრობებზე, პოლიტიკურ მიმართულებებსა და კულტურებზე გავლენას ვერ მოვახდენთ, ამიტომ საკითხს მარტივად ვუყურებთ: დღეს შანსი გვაქვს მოვიპოვოთ სამი ქულა, დავამარცხოთ გუნდი, რომელსაც ჩვენი აზრით საგრძნობლად ვჯობივართ".

მატჩი №30. აშშ — ირანი. ლიონი. 23:00

გავიხსენოთ ორი ქვეყნის მტრობის მიზეზი: 1979 წელს აიათოლა ხომეინიმ და მისმა თანამოაზრეებმა ირანში მოაწყვეს ისლამური რევოლუცია, დაამხეს შაჰის რეჟიმი და არეულობის დროს, 444 დღის განმავლობაში თეირანში დატუსაღებული ჰყავდათ 52 ამერიკელი. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდა დასავლური ორიენტაციის შაჰს.

აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი სტივ სემპსონი აცხადებს, რომ დღეს, ირანის ნაკრების წინააღმდეგ მისი გუნდი პირველივე წუთებიდან ძლიერად ითამაშებს.

„ჩვენ ძალიან სწრაფად უნდა დავიწყოთ. გონებაში მხოლოდ ერთი მიზანი, გამარჯვება უნდა გვიტრიალებდეს" — ბრძანებს იგი — „შეტევაში უფრო დაკვირვებით ვიმოქმედებთ, მეტ რისკს გავწევთ და შევეცდებით მოწინააღმდეგე ფიზიკურად დავჯაბნოთ".

სემპსონმა აღიარა, რომ ირანელებსაც აქვთ თავიანთი უპირატესობანი. კერძოდ, თუ ამერიკელი მწვრთნელის აზრით დაცვა მისი გუნდისა სჯობია, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში ირანელები უფრო ფხიანნი არიან.

სემპსონის ნახევარმცველმა ერნი სტიუარტმა განაცხადა, რომ გერმანიასთან შეხვედრამ ჭკუა ასწავლა. მისი თქმით, მან და მისმა მეგობრებმა თამაშის დროს გერმანელებისადმი ზედმეტი პატივისცემა გამოამჟღავნეს და ახლა ხვდებიან, რომ ძალიან შეცდნენ:

გერმანიის წინააღმდეგ სემპსონმა 3-6-1 სისტემით ითამაშა, მაგრამ ირანის ნაკრების თავკაცმა ჯალალ თალებიმ, რომელსაც ამერიკელთაგან სტიუარტი და კლაუდიო რეინა მოსწონებია, კოლეგას ორი ფორვარდით თამაში ურჩია.

„აშშ-ის ნაკრები იყო ძალიან სწრაფი, ღონიერი, აგრესიული, [illegible]უნებებელი, მაგრამ ერთი თავდამსხ[illegible]ელით მოქმედება აშკარა შეცდომა მგონია" — თქვა მან.

თალებიმ ირანელ ფეხბურთელთა გუნდის საჭე [illegible]ოტა ხნის წინ, ხორვატი ტომისლავ [illegible]ვიჩისგან ჩაიბარა და 4-4-2 სისტემა 3-5-2-ად გარდაქმნა.

თალები ამბობს, რომ მისი [illegible] პატიოსან ფეხბურთს ითამაშე[illegible] აზრით, ირანსა და ამერიკას ერთი რამ აქვთ საერთო, ორივე გამოუცდელი გუნდია, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას...

„ჩვენ საფრანგეთში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედით. გვინდა ყველას ვაჩვენოთ, რომ ორი ქვეყნის ხალხს შორის მტრობა არ არის. გვსურს მეორე ეტაპზე გასვლა და ამისათვის უნდა გავიმარჯვოთ. თუ მოვიგებთ, ვიზეიმებთ, მაგრამ ვიზეიმებთ იმიტომ, რომ პირველი გამარჯვება გაგვახარებს და არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც ამერიკა დავამარცხეთ".

მოსალოდნელია, რომ ორივე გუნდი საუკეთესო შემადგენლობით გავა მოედანზე. ირანის კარს კვლავ აჰმად აბედზადე დაიცავს და არა ნიმა ნაკისა, რომელმაც იუგოსლავიის წინააღმდეგ ითამაშა.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

აშშ: კელერი, პოუპი, რეჯისი, დული, ჰეიდუკი, ჯოუნზი, მეისონევი, რეინა, რამოსი, ვინალდა, ვეგერლე

ირანი: აბდელზადე, ხაკპური, ფაშაზადე, ზარინშეჰი, მაჰდავიკია, ბაგერი, ესტილი, მოჰამადხანი, მინავადი, დაეი, აზიზი

**ბაჩუნა ჭედია**

# ფაქსი მიღებულია, მოგებაღა დარჩა

**მატჩი №29. გერმანია — იუგოსლავია. ლანსი. 16³⁰**

გერმანიის ნაკრების სასტუმროში ფაქსის მანქანა ყოველ საღამოს დიდი დატვირთვით მუშაობს. ბუნდესმწვრთნელის, ბერტი ფოგტსის მსტოვრები თავიანთ ჩანაწერებს აგზავნიან.

ფოგტსის თანაშემწემ რაინერ ბონჰოფმა განაცხადა, რომ მის ბოსს მსოფლიოს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მატჩზე დასასწრებად რვა სპეციალისტი ჰყავს გამოყოფილი. ისინი თითოეული გუნდის თითოეული ფეხბურთელის ძლიერ და სუსტ მხარეებს სწავლობენ. გვიან საღამოს მთელი ინფორმაცია საფრანგეთის სამხრეთში მდებარე სასტუმროში იყრის თავს.

„ჩანაწერები ყველა სტადიონიდან მოდის. თავდაპირველად მათ მე ვიღებ, შემდეგ ვამუშავებ და ისეთ სახემდე დამყავს, ფოგტსს რომ უნდა. იგი ამის მერე იწყებს მათ ანალიზს" — ამბობს ბონჰოფი— „ინფორმაცია ფრიად სასარგებლოა. შეგვძლია ჩვენს ყოველ ფეხბურთელს მისი უშუალო მეტოქის შესახებ ამომწურავი ცნობები მივაწოდოთ".

მაგალითისთვის ბონჰოფმა გადაშალა დავთარი, რომელშიც იუგოსლავიელთა მონაცემები ეწერა. ერთ-ერთი ფეხბურთელის შესახებ: „საშუალო სიმაღლისაა, შეუძლია სწრაფად გაიქცეს და შეტევას დაეხმაროს, მაგრამ იოლად ღიზიანდება და ნერვიულობას იწყებს".

ბონჰოფმა დასძინა: „ინფორმაციის მიღება და დამუშავება უზარმაზარი სამუშაოა. ვიცი, რომ ესპანელებიც ასე იქცევიან. ასეთივე სისტემით ვმუშაობდით 1974 წელს, მაგრამ დღეს კავშირგაბმულობის თანამედროვე სისტემა გაცილებით ოპერატიულად მოქმედების საშუალებას გვაძლევს. იმ სპეციალისტთათვის, რომლებიც სტადიონიდან სტადიონზე დაჰქრიან, ნამდვილი „ტურ დე ფრანსია" გამართული".

გუნდის პრეს-ატაშის, ვოლფგანგ ნიერსბახის განცხადებით ფაქსის მანქანა ყოველ ღამე იღებს ახალ-ახალ ჩანაწერებს. ხშირად თითოეული მსტოვარი რამდენიმე გვერდიან ნაშრომს აგზავნის.

თავდამსხმელის, ოლივერ ბირჰოფის აზრით ინფორმაციის მიღება-გადამუშავების ასეთი სისტემა ფეხბურთელებისთვის ძლიერ სასარგებლოა.

„საერთაშორისო შეჯიბრებებში შესალოა ისეთ მოწინააღმდეგეს გადაეყარო, რომელსაც ადრე არასდროს შეხვედრიხარ. ასეთ შემთხვევაში მის შესახებ მიღებული ცნობები საგანგებო მნიშვნელობას იძენს. ხშირად ისეთ რამეს შენიშნავ, რასაც შემდეგ შეხვედრაში გამოიყენებ" — თქვა ბირჰოფმა.

მაშ ასე, გერმანია დღეს იუგოსლავიასთან თამაშობს. დავთრები შევსებულია, ფეხბურთელებმა ზეპირად იციან თავიანთ შესაძლო ოპონენტთა ძლიერი და სუსტი მხარეები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ კაი მეოთხედი საუკუნეა, რაც სამხრეთელ სლავთა გუნდი მათთან მარცხდება.

ბოლოს დღევანდელი მეტოქეები 1990 წლის ჩემპიონატზე, იტალიაში შეხვდნენ ერთმანეთს. თამაში მილანში, „სან სიროზე" გაიმართა. გერმანიამ შთამბეჭდავად დაამარცხა მოწინააღმდეგე — 4:1.

მაგრამ ფოგტსი ამბობს: „ნიგერია და იუგოსლავია ჩემთვის ამოუცნობნი არიან. ვიცი, ძლიერი გუნდი გვყავს, ჩვენი დამარცხება იოლი არ გახლავთ, მაგრამ ვგონებ იუგოსლავიელებთან ძნელი თამაში გველის. მათ რამდენიმე ჩინებული ინდივიდუალისტი ჰყავთ".

ლანსში გასამართი ეს მატჩი F ჯგუფის ფავორიტთა ამბავს გაარკვევს. ორივეს მოგებული აქვს პირველი თამაში, გერმანიას ამერიკასთან — 2:0, იუგოსლავიას ირანთან — 1:0.

„ადვილი თამაშები აღარ არსებობს, მაგრამ ძნელშიც სიამოვნებით მოვიგებ. თუ გავიმარჯვეთ, მეორე ეტაპზე ალბათ შედარებით სუსტი მოწინააღმდეგე შეგვხვდება" — თქვა გამოცდილმა მცველმა იურგენ კოლერმა.

გერმანელებს, რომელთაც იუგოსლავიელებთან ბოლოს 1973 წელს მიუნხენში წააგეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე ასაკოვანი გუნდი ჰყავთ ჩაყვანილი. მისი საშუალო ასაკი თითქმის 30 წელია.

ხუთი ფეხბურთელი, რომელთაც 1990 წლის იმ შეხვედრაში (4:1 იუგოსლავიასთან) მიიღეს მონაწილეობა, დღესაც ჩემპიონატზე არიან. ესენია: იურგენ კლინსმანი, შტეფან როიტერი, თომას ჰესლერი, ენდი მიოლერი და ყოფილი კაპიტანი ლოთარ მათეუსი.

საფრანგეთში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, ყველაზე დიდი დავა იმაზე იყო გამართული, შეიყვანდა თუ არა ფოგტსი 22 კაციან განაცხადში 37 წლის ლოთარ მათეუსს, რომელსაც საშუალება ეძლეოდა გამხადრიყო მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველი მოთამაშე, მსოფლიოს პირველობათა ფინალურ ეტაპზე 21 შეხვედრაზე მეტი რომ აქვს ჩატარებული.

ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ფოგტსი მათეუსს სკამზე ამყოფებს, მოედანზე კი ლიბეროდ ოლაფ ტონი ეყოლება.

მათეუსს ნაკრებში 125 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული. ამ 125-ში შედის რვა წლის წინანდელი მატჩი იუგოსლავიის ნაკრების წინააღმდეგ, რომელშიც ფეხბურთელმა ორი გოლი გაიტანა.

რვა წლის წინანდელი მილანური შეხვედრის მონაწილენი იუგოსლავიელებსაც ჰყავთ. ასეთი ორია, დეიან სავიჩევიჩი და დრაგან სტოიკოვიჩი.

სავიჩევიჩი ბოლო თვეებში მუხლს მკურნალობდა და ამან, როგორც ჩანს მის თავდაჯერებულობასა და ფორმას დაღი დაასვა, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატზე გამგზავრების წინ ყველანაირი ტესტი ჩააბარა.

იუგოსლავიელთა საფიქრალი იურგენ კლინსმანის შეჩერებაც გახლავთ. კლინსმანი როგორც გითხარით, მონაწილეობდა 1990 წლის მატჩში და როგორც დიდ ფორვარდს შეეფერება ისე დასტოვა მოედანი — გოლი შეაგდო. სლავთა დაცვისთვის ოლივერ ბირჰოფიც კარგი თავსატეხი გახლავთ.

„კლინსმანი და ბირჰოფი საუცხოო წყვილია" — ამბობს იუგოსლავიის ნაკრების მეკარე ივიცა კრალი — „მაგრამ ვფიქრობ ჩემი თანაგუნდელები მათთან წარმატებულ ბრძოლას თავს გაართმევენ".

მწვრთნელს, სლობოდან სანტრაჩს ჰკითხეს გერმანელთა შიშზე რას იტყვითო.

„ჩვენ გერმანელებს პატივს ვცემთ, მაგრამ შიშით არავისი გვეშინია" — იყო პასუხი.

მოკლედ, დღეს, წესითა და რიგით, ძალიან საინტერესო შეხვედრა უნდა ვნახოთ. F ჯგუფის გამარჯვებულს კი მერვედფინალში E ჯგუფის მეორე ადგილზე გასულთან ელის ბრძოლა. E ჯგუფი ჰოლანდია, ბელგია, მექსიკა, კორეა გახლავთ.

F ჯგუფის მეორე შესაბამისად E-ს პირველს გადაეყრება.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**გერმანია:** კიოპკე, ტონი (ან მათეუსი), კოლერი, ვიორნსი, ჰაინრიხი, მიოლერი, იერემისი, ჰელმერი, ციგე, კლინსმანი, ბირჰოფი

**იუგოსლავია:** კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, მიჰაილოვიჩი, პეტროვიჩი, იოკანოვიჩი, ბრნოვიჩი, იუგოვიჩი, სტოიკოვიჩი, მიატოვიჩი, მილოშევიჩი

**ილია ბაბუნაშვილი**



მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩი გერმანია — იუგოსლავია. ამ დღიდან მოყოლებული გერმანელები იუგებს მხოლოდ უგებენ. ფოტოზე გერდ მიულერის გოლია აღბეჭდილი, შუაში კი დგას იუგოსლავიელი ბულიანი (№2), რომელიც 1979 წელს „ჰამბურგის" შემადგენლობაში თბილისს ეწვია


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ივნისი** | | | |
| არგენტინა — იამაიკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 4,0 |
| გერმანია — იუგოსლავია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| აშშ — ირანი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| **22 ივნისი** | | | |
| კოლუმბია — ტუნისი | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| რუმინეთი — ინგლისი | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| **23 ივნისი** | | | |
| ბრაზილია — ნორვეგია | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შოტლანდია — მაროკო | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ჩილე — კამერუნი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| იტალია — ავსტრია | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| **24 ივნისი** | | | |
| საფრანგეთი — დანია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ს. აფრიკა — საუდეთი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,1 | 3,0 |
| ესპანეთი — ბულგარეთი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ნიგერია — პარაგვაი | 1,9 | 3,2 | 3,3 |

### რუსეთის ჩემპიონატი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| **21 ივნისი** | | | |
| ჟემჩუჟინა — როსტსელმაში | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ალანია — დინამო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ურალანი — ლოკომოტივი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კრილია — ზენიტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბალტიკა — ჩერნომორეცი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტიუმენი — შინიკი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| სპარტაკი — როტორი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ცსკა — ტორპედო | 2,3 | 2,8 | 2,9 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# მათ მათი ეშინიათ

## ჩემპიონატის დღიური

19 ივნისი

ლაშა გოდუაძე

FRANCE 98

### ახსნა-განმარტება

მალე ჯგუფური ტურნირების მეორე წრეც ჩამთავრდება. ლიდერ-აუტსაიდერებიც გაირკვევიან. ზოგს ფავორიტად მონათლავენ, ზოგს ჩამოწერენ, ერთი სიტყვით, ხალხს მონაწილეებზე საკუთარი აზრი შეექმნება, თუ, ცხადია, აქამდე არ შექმნიათ. ორი კვირა სრულიად საკმარისია იმისთვის, რათა გუნდის ავკარგი დაინახო, ნაკლზე მიუთითო და კარგი შეუქო, რაღაც ურჩიო, რაღაც ასწავლო.

10 ივნისიდან დღემდე მსოფლიოს ჩემპიონატის უკლებლივ ყველა მონაწილემ გადაიტანა კრიტიკა თუ ქება. უმეტესობა ცუდი თამაშის გამო ჟურნალისტებმა მიწასთან გაასწორეს, ერთი-ორი იღბლიანი შეაქეს კიდეც.

საერთოდ მწვრთნელთათვის, ფეხბურთელთათვის ჟურნალისტები ყველაზე აუტანელი ხალხია. რა თქმა უნდა, მოსაბეზრებელია, როცა ათი ჟურნალისტს ცალ-ცალკე უპასუხებ ერთსა და იმავე შეკითხვებზე, მოსაბეზრებელია, როცა ერთსა და იმავე თემას რამდენჯერმე უბრუნდები, თუმც ყოველივე ამის გათვალისწინებითაც კი პრესასთან და საზოგადოდ ჟურნალისტებთან ურთიერთობის ბრმად გაწყვეტა არავის არგებს. ბევრი შემცდარა და მეოთხე ხელისუფლებისთვის ზურგი უქცევია, მაგრამ ამით თავად დასჯილა. შემდეგ კი უნანია და თავადვე აღუდგენია ჩატეხილი ხიდი.

ჟურნალისტები, არ აქვს მნიშვნელობა პრესა იქნება თუ ტელევიზია, მწვრთნელთათვის, თუგინდ მთლიანობაში ამა თუ იმ გუნდებისთვის ყველაზე „საშიში“ ხალხია. ეს მსოფლიოს მეთექვსმეტე ჩემპიონატის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის მერამდენედ, დამტკიცდა.

### ენამწარე კალმოსნები

— მშვიდობით ხავიერ! დღეიდან ესპანეთის ნაკრები უმწვრთნელოდაა. ჯობს, კლემენტე გუნდს მოვაშოროთ და ნაკრები მწვრთნელობის მსურველს ჩავაბაროთ, „ხერსო მუნდ-იალი“, ბილბაოს ყველაზე პოპულარული გაზეთი ესპანელთა თამაშს პარაგვაისთან უაღრესად კრიტიკულად მიუდგა. ჟურნალისტებმა მწვრთნელის სისუსტეები ამხილეს, ამავდროულად არც ფეხბურთელთა გაკრიტიკება დავიწყებიათ — პირინეელი მობურთალენი არ იყვნენ დანდობის ღირსნი და არც დაინდეს.

— გვეგონა, ესპანეთის ნაკრებში ფეხბურთელები თამაშობდნენ, იქ კი თურმე მორბენლები ყოფილან. კლემენტეს ბიჭებისთვის ფეხბურთი კი არა, სწრაფი სირბილი უსწავლებია. სამწუხაროდ ესპანეთი შერცხვა და ისედაც წითელი გუნდი (მაისურის ფერი იგულისხმება) სირცხვილისგან ისე გაწითლდა, ლამის ჭარხალს დაემსგავსა — ქვეყნის უდიდესი გაზეთ „**AS**“-ი არანაკლებ კრიტიკულად მიუდგა პარაგვაელებთან ფრეს. სხვათა შორის, იმ შეხვედრისადმი მიძღვნილი წერილი ერთი შეხედვით სენსაციური წნადადებით მთავრდებოდა — დროა პრიმერა დივიზიონში უცხოელთა შემცირებაზე ვიზრუნოთ, თორემ ესპანური ფეხბურთი ისე დასნეულებულა, მალე შეიძლება საერთოდაც გარდაგვეცვალოსო.

იქაურ ჟურნალისტთა წუხილი და აღშფოთება სავსებით გასაგებია — მართლაც ესპანურ კლუბებში იმდენი ლეგიონერები არიან, ადგილობრივ ფეხბურთელებს გასაქანი არა აქვთ. კლუბების პრეზიდენტებს ესპანელ ფეხბურთელთა გაზრდას ურჩევნიათ მზამზარეული მოთამაშეები იყიდონ. გაიკრავენ ჯიბეზე ხელს და მოჰყავთ გადამთიელნი. თუნდაც „რეალი“ ან „ბარსელონა“ ავიღოთ — გასრულებულ სეზონში ორივე გუნდში მაქსიმუმ ხუთ ესპანელს ჰქონდა ძირითადში ადგილი დაჯავშნული, დანარჩენი კი...



ესპანელთა პირველი და ჯერ-ჯერობით ბოლო სიხარული ამ ჩემპიონატზე

სარბიელის არქივიდან

— ახლა სხვების იმედად უნდა ვიყოთ. გუნდი მერვედფინალში რომ არ გავიდეს, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება. ამას ესპანეთი ვერ გადაიტანს. თუ ჯგუფიდან ვერ გააღწიეთ, ჯობს შემოდგომამდე შინ ნუ დაბრუნდებით. გულშემატკივრები სისხლს დაღვრიან — „ხოდო ა მოროს“ რეაქციაც წინა ორი გაზეთის ანალოგიური გახლდათ. აქაც იგივე — აღშფოთება, წუხილი და კრიტიკა, მიწასთან გამსწორებელი კრიტიკა.

საერთოდ საკმაოდ უსახურ პარაგვაის გუნდთან ვერმოგებულ შეხვედრას ესპანეთში უკლებლივ ყველა სპორტთან შეხებაში მქონდა გაზეთი კრიტიკულად მიუდგა. ზოგიერთმა კი, თითქოს შეცდომის მიზეზებს ხვდებაო, სინანულით დასძინა, თუ გუნდი გაურკვეველი ორიენტაციის პარაგვაის ვერ უგებს, მაშინ ის უარესი ყოფილაო.

თითქოს ლოგიკურიცაა — თუ სუსტად შერაცხულ მეტოქეს ვერ ერევი, ესე იგი შინ გაცილებით უძლური ხარ.

ერთი სიტყვით, ესპანეთში ნაკრების წარუმატებლობას სათანადოდ გამოეხმაურნენ. მეორე დღეს, ანუ გუშინ უკლებლივ ყველა გაზეთი გმობდა გუნდს, თუმც აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ პარაგვაელებთან მატჩისადმი მიძღვნილ წერილებში კლემენტეს და მისი ამქრის კრიტიკა გადაჭარბებული სულაც არ ყოფილა.

ესპანელების არ იყოს, არც ბულგარეთში დაინდეს ხრისტო ბონევის რჩეულნი. აქაც იგივე განმეორდა — ჟურნალისტები, ცხადია, უკმაყოფილონი იყვნენ თამაშით და მით უმეტეს, შედეგით და ამას არც ფარავდნენ.

საერთოდ ბულგარელები, როგორც ჩანს, ოთხი წლის წინანდელმა წარმატებამ ძალიან გააყოყოჩა. მაშინ აშშ-ში, მათ, მიუხედავა იმისა, რომ შვიდი შეხვედრიდან სამი წააგეს, აქედან ორი 0:3 და 0:4 (შესაბამისად ნიგერიასთან და შვედეთთან), მეოთხე ადგილი დაიკავეს. მას შემდეგ ცხვირაწეული ბულგარელების ხილვა აღარავის უკვირს. ახლაც, მსოფლიოს ჩემპონატის წინ, ისინი მინიმუმ ნახევარფინალისტობას გეგმავდნენ. საინტერესოა, რით აპირებენ ბულგარელები ნახევარფინალში თამაშს? ნუთუ გვერდზე არ იყურებიან? მათნაირ ფეხბურთს საფრანგეთში რამდენიმე ნაკრები თამაშობს, რომელნიც ბულგარელთა დარად აუტსაიდერები არიან.

— არაფერი შეცვლილა. ბოლო ორი წელია, გუნდი არ გვყავდა. ახლაც ასეა: ბულგარეთი არაა ნაკრების, ფეხბურთელთა თავყრილობა უფროა — „ვერსკე მეშნიცე“, მიუხედავად იმისა, რომ არასპორტული გაზეთია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბულგარელთა თამაშს მაინც გამოეხმაურა. რაღა გასაკვირი იქნება, თუ ვიტყვი, რომ შეფასება კრიტიკული იყო.

...კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა ესპანეთი, ბულგარეთი, უფრო ადრე ბელგია, ჰოლანდია, არგენტინა, იტალია და ასე შემდეგ. ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არც ერთი ნაკრები გადარჩენია ჟურნალისტთა ბასრ კალამს. ცხადია, გაკრიტიკებულთა გვერდით ნაქებნიც იყვნენ, თუმცა იშვიათად.

### ფრთხილად, იღებენ!

პრესა პრესად, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატს ტელეჟურნალისტებიც აშუქებენ. ესენიც, მწერალი კოლეგების დარად, ფეხბურთელთა კრიტიკაში არიან, თან, მეგაზეთეებისგან განსხვავებით, კრიტიკას საკმაოდ საინტერესო კადრებსაც დაურთავენ ხოლმე.

კვლავ დავუბრუნდები ესპანელების მატჩს პარაგვაისთან. შეხვედრის შემდეგ მადრიდის ერთ-ერთმა ტელეარხმა საკმაოდ საინტერესო კადრები აჩვენა — როგორ ჩადის ესპანეთის ნაკრები საფრანგეთში. ფეხბურთელთა და საერთოდ გუნდის წევრთა უმეტესობა თვითმფრინავიდან მიწაზე გადასვლისას პირველად მარცხენა ფეხს ადგამს, ეს კი ცუდის ნიშანი რომაა ახალი ამბავი არ არის. მოკლედ, ამ კადრის ჩვენების შემდეგ მავანმა დიქტორმა ირონიულად დასძინა, ჩვენი უიღბლობა ზემოთ ყოფილა გადაწყვეტილი, აბა, კლემენტეს ნაკრები კარგად როგორ ითამაშებდაო.



არა, ჟურნალისტის ქორისებრ თვალს არაფერი გამოეპარება

სარბიელის არქივიდან



ამპარტავანთა საძმო — ბულგარელები ნებივრობენ

სარბიელის არქივიდან

### ვაი მათ

...ვაი იმას, ვისაც ჟურნალისტები ცუდი თვალით შეხედავენ. მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი უიღბლო მრავალია. მაგალითად, ესპანეთი და ბულგარეთიც გამოდგება.

# ესპანელთა ბედი ბეწვზე ჰკიდია

## სუბისარეტა კი ჩემპიონობაზე ოცნებობს

ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთ ფავორიტად ჩავიდა. ხავიერ კლემენტეს ქვეშევრდომებმა წინასასაფრანგეთო მზადების ციკლი კარგად ჩაატარეს, თითქმის ყველა ამხანაგური შეხვედრა მოიგეს და ყველას აჩვენეს, რომ უდიდეს სპორტულ ასპარეზობაზე ტურისტების როლში არ აპირებდნენ წასვლას. თვით ფეხბურთის მეფე პელემ ჩემპიონატის დაწყებამდე ესპანეთის ნაკრები ბრაზილიისა და გერმანიის ეროვნულ გუნდებთან ერთად პირველობის უპირველეს კანდიდატებს შორის მოიხსენია და იმ დროისთვის, ვგონებთ, არ არსებობდა სპეციალისტი თუ რიგითი გულშემატკივარი, ამ პროგნოზს რაიმე მოსაზრების გამო არ დათანხმებოდა. ვეტერანები — იერო, სუბისარეტა, ნადალი თუ ახალამობრწყინებული ვარსკვლავები — რაული და მორიენტესი მართლაც საუცხოო ფორმაში იყვნენ და ამ ჩემპიონატისთვის საგანგებოდაც ემზადებოდნენ. განსაკუთრებით ამაღლებული განწყობა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელებს ჰქონდათ. მათ ხომ სულ რაღაც ერთი თვის წინ უეფას ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში — ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში იმარჯვეს და საკუთარ თავში დარწმუნებულნი საფრანგეთში იმ იმედით ჩავიდნენ, რომ სულ ცოტა რვა საუკეთესოს შორის მოხვდებოდნენ. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, არავის მოსვლია აზრად, ესპანეთის ნაკრები D ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასვლას ვერ მოახერხებსო. არადა, ეგრეთ წოდებული „სიკვდილის ჯგუფი“, როგორც მას კენჭისყრის შემდეგ შეარქვეს, ესპანეთისთვის მეტად ძნელად დასაძლევი აღმოჩნდა. პირველ შეხვედრაში გუნდი ნიგერიელ „სუპერარწივებთან“ დამარცხდა. არადა მატჩის განმავლობაში ორჯერ იყო წინ, მაგრამ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო. უფრო სწორად, მეტოქემ არ დაანება, რადგან ნიგერიელები მართლაც ლომებივით იბრძოდნენ და შეიძლება ითქვას, ესპანელებს სამი ქულა ხელიდან გამოგლიჯეს. თუმცა წინ კიდევ ორი მატჩი იყო და ერთგულმა ქომაგებმა ესპანელებს ეს მარცხი აპატიეს, იმ იმედით, რომ მათი საყვარელი გუნდი ყოველ ღონეს იხმარდა და დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმს მოიპოვებდა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, პარაგვაის ნაკრები ასე სულაც არ ფიქრობდა და ესპანელებთან არაფრის დათმობას არ აპირებდა. ხოსე ლუის ჩილავერტი და კომპანია იმდენად მობილიზებული გავიდა მოედანზე, რომ მეტოქე გუნდის გულშემატკივრებს გულმა რეჩხი უყო, ვაითუ ეს სამხრეთამერიკული ნაკრები დღეს ვერ დავამარცხოთო. მართლაც, გავიდა დაახლოებით საათნახევარი და ფანები დარწმუნდნენ, რომ წინათგრძნობამ არ უღალატათ. ესპანელებმა, დიდი უპირატესობის მიუხედავად, გოლის გატანა ვერ მოახერხეს და ნულოვან ფრესლა დასჯერდნენ. ასეთ შედეგს ესპანელი გულშემატკივრები, ცხადია, ვერ იგუებდნენ და მათ გამყრუებელი სტვენით გააცილეს თვისტომნი მინდორიდან. მშიშარა ცხვრებო, გამარჯვების შნო თუ არ გქონდათ, საფრანგეთში რას მოეთრიეთ — ყვიროდნენ ტრიბუნებზე მჯდომი გულდაწყვეტილი ფანები. არც ესპანელთა მთავარი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ჩანდა მაინცდამაინც გულდალხენილი.

— არ ვიცი, ჩემს გუნდს რა ემართება. ნიგერიელებთან შეხვედრაში უპირატესობას ვფლობდით, ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ გამარჯვება კი არა, ფრეც სანატრელი გაგვიხდა. დღეს პარაგვაელებთან სულაც ვბატონობდით მოედანზე. გუნდმა იმდენი საგოლე მომენტი შექმნა, ბარე რამდენიმე თამაშს ეყოფოდა, მაგრამ საბოლოოდ რა შედეგი მივიღეთ, თავადაც ხედავთ. ალბათ, იღბალი არ გვწყალობს — განაცხადა კლემენტემ და მისი გულისტკივილი, ალბათ, გასაგებია. იქნებ ესპანეთის ნაკრები ამ ჩემპიონატზე ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტს, მაგრამ ის, რომ გუნდი საკმაოდ ძლიერია, ამაში ვერავინ შეგვედავება. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონობა თუ არა, ესპანელებს იმის უნარი მაინც შესწევთ, ჯგუფიდან გავიდნენ. მით უმეტეს, მათ ამის შანსი ჯერ არ დაუკარგავთ და კაცმა არ იცის, დარჩენილ შეხვედრებში მოვლენები როგორ განვითარდება. ისე, რაც უნდა მოხდეს, ეს გუნდი D ჯგუფში პირველ ადგილს ვეღარ შესწვდება, რაც იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ მერვედფინალში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ საფრანგეთთან შეხვედრა მოუწევს. აქამდე კი, დაგვეთანხმებით, ესპანელებს საქმე არ უნდა მიეყვანათ.

მატჩის შემდეგ ზოგიერთი გულშემატკივარი თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად ირონიულად თეთრ ცხვირსახოცებს უფრიალებდა მინდვრიდან გამავალ ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელებს, აქაოდა თქვენი იმედები ამ ფრესთან ერთად დასამარდა, ახლა ჩემპიონატს უეჭველად დაემშვიდობებითო.

თავის მხრივ, პარაგვაელი ქომაგები აღტაცებას ვერ მალავდნენ. ისინი მატჩის შემდეგ თავიანთი გუნდის მოთამაშეებს მიეჭრნენ, გულში იკრავდნენ და წარმატებას ულოცავდნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ცეზარ კარპეჯიანი თამაშის შემდეგ მეტად კმაყოფილი ჩანდა — მისმა აღსაზრდელებმა ხომ ყველასათვის მოულოდნელად საწყის ორ შეხვედრაში ორი ქულა მოიპოვეს.

სანამ პარაგვაელები ხარობენ, ესპანეთის გუნდი წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, სულიერად არ გატეხილა და მოთამაშეები დიდი მონდომებით ემზადებიან ბოლო მატჩში ბულგარელებთან გადამწყვეტი შეტაკებისთვის. გუნდის ვეტერანი ანდონი სუბისარეტაც იმედიანადაა განწყობილი. არადა, მას ნიგერიასთან შეხვედრაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო ესპანელი ჟურნალისტების კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა თავს, რომელთაც კლემენტეს მეკარის გუნდიდან გაშვება მოსთხოვეს. ისე, უნდა ითქვას, რომ სუბისარეტამ იმ თამაშში მართლაც უპატიებელი ბურთი გაუშვა, რაც მისი დონის ფეხბურთელს არ ეკადრება. თუმცა მწვრთნელზე ამას დიდი გავლენა არ მოუხდენია და სუბისარიტა პარაგვაელთა წინააღმდეგ ჩატარებულ მატჩში კვლავ ესპანელთა სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა. მართალია, მისმა გუნდმა მთლად წარმატებით ვერ ითამაშა, მაგრამ მას იმით მაინც შეუძლია დაიმშვიდოს თავი, რომ წინა შეხვედრისგან განსხვავებით, კარი მშრალად შეინახა და მიუტევებელი შეცდომებით თანამემამულეთ ამჯერად გული არ ატკინა.

პარაგვაელებთან მატჩი სუბისარეტასთვის კიდევ ერთი რამით იყო გამორჩეული. იმ დღეს გოლკიპერმა ეროვნული გუნდის მაისურით თავისი 125-ე შეხვედრა ჩაატარა და ამ მაჩვენებლით ლეგენდარული ინგლისელი მეკარე პიტერ შილტონის მიერ 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში დამყარებული რეკორდი გაიმეორა. ანდონისთვის არანაკლებ სასიხარულო იყო, რომ თავისი 14 წლის ვაჟიშვილის თხოვნა შეასრულა და პარაგვაელი ჩილავერტისგან გოლი არ გაუშვა. პატარა სუბისარეტა, რომელიც ესპანურ კლუბ „ვალენსიას“ ბავშვთა სექციაში ვარჯიშობს და მამის დარად დიდ მეკარეობაზე ოცნებობს, შეხვედრის წინ თურმე ანდონის ტელეფონით დაუკავშირდა და უთხრა:

„მამიკო, დღეს რაც გინდა მოიმოქმედე, თუნდაც ნიგერიელებთან მატჩის მსგავსად შეცდომები დაუშვი, ოღონდ ჩილავერტს შენს კარში ბურთი არ გაატანინო“. ასეთი ამაღელვებელი საუბრის შემდეგ სუბისარეტას ნამდვილად არ შეეძლო, სხვაგვარად მოქცეულიყო და ყველაფერი გააკეთა, რათა შვილისთვის გული არ გაეტეხა.

ახლა, როცა გულშემატკივართა ვნებათაღელვა ჩაცხრა და ატეხილი აჟიოტაჟი ასე თუ ისე მიწყნარდა, სუბისარეტა უფრო მშვიდად საუბრობს გუნდის შენსებზე.

— ჩვენ ბულგარელებთან შეხვედრა უეჭველად უნდა მოვიგოთ, რადგან ქომაგები წარუმატებლობას ნამდვილად არ გვაპატიებენ. იმედია, ღმერთი მოწყალების თვალით გადმოხედავს და შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლებას მოვიპოვებთ. საერთოდ, ყოველ ფეხბურთელს ორი ოცნება აქვს. პირველი — ითამაშოს მსოფლიოს ჩემპიონატზე და მეორე — იქ ყველა მეტოქის დამარცხებით ჩემპიონი გახდეს. უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე ადრეც ვიასპარეზე, მაგრამ უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა ვერ შევძელი. ასე რომ, საფრანგეთში სწორედ მეორე ოცნების ასასრულებლად ჩამოვედი. ვიცი, ჩვენი ნაკრების უსახური თამაშის შემდეგ ამაზე საუბარი ღიმილისმომგვრელიც კია, მაგრამ მე მჯერა ბიჭებისა და იმედი მაქვს, დიდი მიზნის მიღწევას შევძლებთ — ამბობს მეკარე, რომელსაც, ალბათ, კარგა ხნით ლოდინი მოუწევს, რადგან ესპანელების შემხედვარე ვერაფრით ვერ იტყვი, რომ მათ რაიმე ძალუძთ წარმატების მიღწევა.



ანდონი სუბისარეტა

**ირაკლი ხმელიძე**

# სუპერ არწივების სუპერ სტარტი

უკვე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა, რომ მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი განსაკუთრებულია და წინა 15 ანალოგიური ტურნირისგან საგრძნობლად განსხვავდება. შეინიშნება თამაშის დონის გათანაბრება, თითქმის აღარ არის მატჩები, რომლებშიც ერთ გუნდს გამოკვეთილი უპირატესობა აქვს და თამაში ცალკარას ემსგავსება, არავინ იცის, ვინ გავა ჯგუფიდან, მით უმეტეს, ფინალში. მართალია, ფავორიტები კვლავაც არიან, მაგრამ მათი გზა მაღალი მიზნებისკენ ისეთი იოლი აღარ არის, როგორც ადრე. ამ მხრივ განსაკუთრებით აფრიკული გუნდები გამოირჩევიან — მაროკო, კამერუნი, სამხრეთ აფრიკა, ნიგერია — ისინი რამდენიმე წლის წინ, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრილებს ყველა გუნდი სიფრთხილით, ზედმეტი ყურადღებით მოეპყრობოდათ. შავ კონტინენტზე, ეტყობა, მართლაც საფეხბურთო ბუმია, რაზეც არაერთი ფაქტი მეტყველებს. დღეს ევროპაში თითქმის არ არსებობს კლუბი, სადაც აფრიკელი ფეხბურთელი არ თამაშობდეს, თანაც როგორ — კანუ, მასინგა, ჰაჯი, იკბება და სხვანი თავიანთი გუნდების ლიდერებად ითვლებიან, მათ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავთ და პრესის თუ ტელევიზიის ყურადღებაც არ აკლიათ. ისინიც მშვიდად, მათთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით აკეთებენ თავიანთ საქმეს და გაცემულ ავანსებსაც ასი პროცენტით ამართლებენ. ამ ფეხბურთელთა უმეტესობა უკვე ნამდვილი პროფესიონალია, ისინი შეცდომებს აღარ უშვებენ, იციან, როდის, რა და როგორ უნდა გააკეთონ და საერთოდ, ნამდვილ ვარსკვლავებად ყალიბდებიან. ევროპულ საკლუბო ტურნირებში გამარჯვებაც აფრიკელთათვის ჩვეულებრივ ამბად იქცა. მოკლედ, შავ კონტინენტზე ფეხბურთი უსწრაფესად ვითარდება და ამ პროგრესის ნაყოფი უკვე გამოჩნდა საფრანგეთის მინდვრებზე. ერთადერთი აფრიკული გუნდი, რომელიც მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე განწირულ აუტსაიდერად შეიძლება ჩაითვალოს, ტუნისის ნაკრებია, თორემ დანარჩენი ოთხი კვლავ იბრძვის ჯგუფიდან გასვლისთვის, მეტიც, ნიგერიელებმა იმდენი ქნეს, რომ მათზე უკვე მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. დღეს სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებზე ვისაუბრებთ.



როგორც იქნა იკებამ გაიტანა

ნიგერია პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე 1994 წელს, ამერიკაში მოხვდა. მაშინ გუნდმა წარმატებით ჩაატარა ჯგუფური ტურნირი, მხოლოდ არგენტინასთან წააგო და მერვედფინალშიც აღმოჩნდა, სადაც მათ იტალიის ნაკრები დახვდათ. ვესტერჰოფის (ნიგერიელთა თავკაცი) ბიჭებმა ის მატჩიც საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარეს და თუ რამეს შეიძლება დავაბრალოთ აფრიკელთა მაშინდელი მარცხი, ეს გამოუცდელობა და რობერტო ბაჯოა. ასეა თუ ისე, „სუპერ არწივების“ დებიუტი დადებითად შეფასდა, ისინი ლამაზ, ყველასგან განსხვავებულ, ასე ვთქვათ, აფრიკულ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლასი არ ეყოთ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ნიგერიელები ევროპის წამყვან კლუბებში მიმოიფანტნენ და კლასის დეფიციტიც ნელ-ნელა აღმოფხვრეს. შედეგად 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე მათ ჯერ რონალდოს ბრაზილიას მოუგეს ნახევარფინალში, ხოლო შემდეგ არგენტინასაც სძლიეს და ოქროს მედლებსაც გამოჰკრეს ხელი. მაშინ ნიგერიელთა წარმატებაში მთავარი როლი ყმაწვილმა ნვანკვო კანუმ შეასრულა, რომელმაც შარშან ძლიერ იავადმყოფა და გულის სერიოზული ოპერაციაც გადაიტანა. მის უსაზღვრო ტალანტსა და შრომისუნარიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ დღეს იგი მილანის „ინტერში“ გამოდის.

მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების საბოლოო ეტაპი ნიგერიის ნაკრებმა ძალიან ცუდად ჩაატარა. თანაც მას უკვე ცნობილი იუგოსლაველი სპეციალისტი, ველიბორ მილუტინოვიჩი ედგა სათავეში. გულშემატკივრებმა და პრესამ საშინელი აჟიოტაჟი ატეხა — ისინი მილუტინოვიჩის გათავისუფლებას ითხოვდნენ, მაგრამ მათი პრეტენზიები ნაადრევი აღმოჩნდა.

როდესაც ბორას ბიჭები ეგრეთ წოდებულ სიკვდილის ჯგუფში მოხვდნენ, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ნიგერიელებს ტურნირზე წარმატებით გამოსვლის მცირე შანსი ჰქონდათ, თუმცა თავად ფეხბურთელები და პირველ რიგში მათი თავკაცი, ეტყობა, ასე არ ფიქრობდნენ.

ესპანეთი — ნიგერია, ეს თამაში გულშემატკივრებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ. აფრიკელებმა შეუძლებელი შეძლეს, ფავორიტთან ორჯერ აგებდნენ, საბოლოოდ კი 3:2 მოიგეს. ამ მატჩის შემდეგ ვერავინ იტყოდა, ნიგერიელებს გაუმართლათო. და ეს მათ ბულგარეთთან შეხვედრაში დაამტკიცეს. ვინც ეს მატჩი ნახა, ალბათ, ძლიერ ნასიამოვნები დარჩებოდა. ნასიამოვნებია ერთადერთი გოლის ავტორი ვიქტორ იკებაც, რომელსაც ნაკრების 17 თამაშში ბურთი არ გაეტანა. „გოლმა ძლიერ გამახარა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კრიტიკულ მომენტში გავიტანე, მეორეც — იგი მართლაც ლამაზი გამოვიდა“. აფრიკის გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჩემპიონატის დაწყებამდე ნაკრების თამაშის ტაქტიკას კრიტიკულად უყურებდა და ამაზე ღიადაც აცხადებდა. იგი ამხანაგური მატჩებით მეტად უკმაყოფილო იყო, მაგრამ ახლა უკვე აზრი შეუცვლია: „სიტუაცია გამოსწორდა, ჩვენ დიდებულად ვთამაშობთ. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ნაკრებში ჩემპიონატის შემდეგაც დავრჩე“. ზემოხსენებული კრიტიკული გამოსვლის გამო მონაკოს ლიდერს გუნდის გამოცდილ ფორვარდ დანიელ ამოკაჩისთანაც კი მოსვლია უსიამოვნება, თუმცა გუშინწინ ისინი ერთად აწიოკებდნენ ბულგარელთა დაცვას: „არის საუბრები, თითქოს ჩემსა და დანიელს შორის განხეთქილებაა. ეს რომ ასე არ არის, ბულგარელებთან მატჩმაც დაამტკიცა. ჩვენ მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს. ნიგერია ყოველთვის ერთიანი გუნდი იქნება“ — აცხადებს იკება. ამ თემაზე აზრის გამოთქვას არც ამოკაჩი მოერიდა:

„ჩვენ საუკეთესო მეგობრები ნამდვილად არ ვართ, მაგრამ მტრებსაც ვერ დაგვარქმევ. მოედანზე მე და ვიქტორი ერთ საქმეს ვემსახურებით და ეს ყოველთვის ასე იქნება“.

მოკლედ, ნიგერიელთა თავდასხმაში გარკვეულწილად უთანხმოებაა, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან და ამიტომაც მოედანზე გასვლისას ყველაფერს ივიწყებენ. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს. „სუპერარწივები“ თავიანთ ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ და, ალბათ, ახლა მთელ დროს მერვედფინალისთვის მზადებას დაუთმობენ. ვინ იქნება მათი მეტოქე, ჯერჯერობით უცნობია, თუმც ნიგერიელთათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი ხომ მხოლოდ გამარჯვებისთვის თამაშობენ.

**დავით ძოწენიძე**

# სასწაულები არ მეორდება

საუდეთის ნაკრები საფრანგეთში დიდი იმედებით ჩავიდა. გულშემატკივრებს კარგად ახსოვდათ 1994 წელს ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდის ბრწყინვალე თამაში. ჰოდა, ამით შეგულიანებული საუდელი ფეხბურთელები თუ ქომაგები საფრანგეთში სულ ცოტა წინა ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის გამეორებას იმედოვნებდნენ, მით უმეტეს, რომ C ჯგუფში საფრანგეთის გარდა არცთუ ძლიერმა ნაკრებებმა მოიყარეს თავი. ყოველ შემთხვევაში, დანია და სამხრეთ აფრიკა ნამდვილად არ არიან ის გუნდები, საუდელებს მათ ძლევაზე რომ არ ეფიქრათ. აზიელთა ბრაზილიელი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირაც იმდენად იყო განწყობილი და ინტერვიუებში გამუდმებით იმეორებდა, ძლიერი გუნდი მყავს და ჩვენგან დიდ სიურპრიზებს უნდა ელოდოთო. თუმცა ჯგუფური ტურნირის პირველი ორი შეხვედრის შემდეგ პარეირას საბაქიბუქოდ საქმე ნამდვილად არა აქვს — იგი ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

საუდეთის ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს განცხადებით, ბრაზილიელი მწვრთნელი შაბათს გადააყენეს და ახლა ნაკრებს ბოლო შეხვედრაში სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ მოჰამედ ალ ხარაში უხელმძღვანელებს.

როგორც აღმოჩნდა, საუდეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს ხუთშაბათს საფრანგეთთან საშინლად ჩატარებულ მატჩის შემდეგ პარიზში საგანგებო სხდომა მოუწვევიათ, სადაც პარეირასთვის მეტად უსიამოვნო განაჩენი გამოუტანიათ.

— ბრაზილიელმა პარეირამ თავის მოვალეობას თავი კარგად ვერ გაართვა. ის დაპირებები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის წინ იძლეოდა, სანახევროდაც ვერ განახორციელა. ჩვენც საჭიროდ ჩავთვალეთ, იგი დაკავებული თანამდებობიდან გაგვეთავისუფლებინა. საუდეთის ფეხბურთის ფედერაციას სურს, დიდი ბოდიში მოუხადოს საუდელ, არაბ და მუსლიმ გულშემატკივრებს იმედგაცრუებისთვის — განაცხადა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.



გიო აბელდიანის

სამი სვეტი

# ცრუ გუნდთა მხილება

FRANCE 98

„სარბიელის“ რედაქციაში, გამორჩევით კი საერთაშორისო ფეხბურთის განყოფილებაში, კარგახანია გამოიყენება სახუმარო-სამუშაო ტერმინი — „ვამხილოთ ცრუ გუნდები“. რა დასამალია და, ყოველი ფეხბურთზე რაიმეს დამწერი კაცი რომელიმე დიდი გუნდის გულშემატკივარია. არც ის არის დასამალი, რომ გულშემატკივარს ნიშნისმოგებით უყვარს ლაპარაკი.

ჰოდა, „სარბიელის“ საფეხბურთო შტატიც არაა გამონაკლისი. მაგალითად, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ წააგებს ხოლმე ევროთასზე, ყოველთვის მეუბნებიან, ვამხილეთ, თუ არა შენი ცრუ გუნდიო. მე, რა თქმა უნდა, არ ვპასუხობ და იმ დღეს ველოდები, როცა „იუვენტუსს“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში თამაშის დღე უწევს.

დგება ჩემი ჯერი და მეც ვამბობ: „ვამხილეთ, ვამხილეთ ცრუ გუნდები“.

ახლა კი მსოფლიო ჩემპიონატი მიმდინარეობს.

ჩვენ ბევრს ვწერთ და ვლაპარაკობთ ჩემპიონატის შესახებ. ვაქებთ, თუ ვაკრიტიკებთ მის ფორმულას, თავკაცებს და მონაწილეებს, ვფიქრობთ მის არსზე და ვკამათობთ: რა არის მსოფლიო ჩემპიონატი, უბრალოდ ყველაზე პრესტიჟული ტურნირი, საფეხბურთო ფესტივალი, თუ ფეხბურთის მოდათა ჩვენება.

მე კი რატომღაც ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერთან ერთად (ან რომელიმე ამათგანთან ერთად) მსოფლიო ჩემპიონატების მთელი ისტორია სწორედ ამ ცრუ გუნდების მხილების ამბავიცაა.

რა შეიძლება იყოს „ცრუ გუნდის“ დამახასიათებელი ნიშან-თვისება?

ალბათ, მოჩვენებითობა, ფართოდ რეკლამირებული, გაბერილი იერსახე, ფუყე სახელები, ნახევრადვარსკვლავები და ამასთან ერთად, დიდი გუნდის ყინჩი გარეგნობა.

აი, გუშინაც კამათი იყო, დელ პიერო ვარსკვლავია, თუ ცრუვარსკვლავი. მაგრამ ჩვენ ხომ გუნდებზე ვლაპარაკობთ.

ამასწინათ, „ენტევეს“ არხზე „საფეხბურთო კლუბის“ მორიგი გადაცემა იყო. ჩემპიონატი იწყებოდა და იმ მეტიჩარა წამყვანსაც შესაბამისად აზრის გამომთქმელი ხალხი მოეწვია: „ლოკომოტივის“ მწვრთნელი იური სიომინი და ბოლო დროის პოპულარული საფეხბურთო ტელეწამყვანი სავიკ შუსტერი. სავიკ შუსტერი ადრე იმით იყო ცნობილი, რომ „რადიო თავისუფლებაში“ მუშაობდა, ახლა კი საცხოვრებელ ადგილად იტალია აქვს და „ენტევე სპორტზე“ უძღვება საფეხბურთო რეპორტაჟებს და მიმოხილვებს.

კითხვაზე, ვინ მიგაჩნიათ კარსმომდგარი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებადო, შუსტერმა მტკიცედ მიუგო — არგენტინა და ესპანეთიო. არგენტინა გასაგებია და ესპანელთა ფავორიტობას რით დაგვიმტკიცებთო, ჰკითხეს შუსტერს. მან კი მიუგო, ხავიერ კლემენტე ძალიან ჭკვიანი და კარგი მწვრთნელია და თანაც აგერ რამდენი წელია ნაკრებს წვრთნის, ასე რომ ფეხბურთელებსაც კარგად იცნობს და ჩემპიონობაზეც დიდი პრეტენზია მაქვსო.

სავიკ შუსტერის ქარაფშუტობა სახეზეა, თუმცა, ამ კაცის ბრწყინვალე რეპორტაჟები მაინც არ გაფიქრებინებს, რომ ტელეწამყვანი ასეთი სულელი იყოს.

ჩვენ კი, ამ ლაპარაკ-ლაპარაკში „ცრუ გუნდების“ თემას მივადექით.

რაც ფეხბურთს ვუყურებ, ასეთი-გუნდი, ანუ ყველაზე სტაბილური „ცრუ გუნდი“ ესპანეთის ნაკრებია. ძნელად რომ იპოვო ქვეყნად მეორე ისეთი გუნდი, რომელიც ამგვარი მედიდურობით და იმედით მიემგზავრებოდეს მსოფლიო ჩემპიონატზე, ასე ჩემპიონურად გადიოდეს შესარჩევ ციკლს და მერე სირცხვილნაჭამი რჩებოდეს. მთელს ბოლო თხუთმეტ წელიწადში დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილე ესპანელთაგან დასამახსოვრებელია სამადსამი თამაში.

პირველი: 1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე, როცა ესპანელებმა აჯობეს საკუთარ თავს და ბრწყინვალე დანიელებსაც. 1-1-ზე დაასრულეს ნახევარფინალი და პენალტებით გავიდნენ ფინალში. მეორე: 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩი იმავ დანიელთა წინააღმდეგ, რომელიც ესპანელებმა 5-1 მოიგეს. ის თამაში ემილიო ბუტრაგენიოს ნამდვილი ბენეფისიიყო. და მესამე: 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე, მეოთხედფინალი ინგლისელთა წინააღმდეგ, რომელიც 0:0 კიდასრულდა, მაგრამ ესპანელები ცალკე მსაჯის განზე ყურებამ დაჩაგრა, ცალკე უიღბლობამ და ინგლისმა პენალტებით მოიგო.



ხავიერ კლემენტეს ცუდი გუნდის კარგ მწვრთნელობას
კარგი გუნდის ცუდი მწვრთნელობა ხომ არ ურჩევნია?

აი, ეს სამი თამაშია, კაცს რომ ამოუტივტივდება გონებაში, ესპანელთა დიდ წარმატებაზე რომ დაიწყებს ფიქრს. ესპანელები ყოველთვის ღირსეულად სძლევენ ხოლმე ჯგუფურ ტურნირს და პლეი-ოფშიც დიდ ბრძოლას მართავენ ხოლმე მაგრამ, როგორღაც ისე გამოდის, რომ ეს არის ხოლმე გუნდი იმედის, ხვალინდელი დღის გარეშე.

ევროპულ საფეხბურთო მედიის ესპანელთათვის შერჩეული აქვს მეტად ზუსტი მეტსახელი — „სუპერსაშუალონი“, რაც „სარბიელური“ „ცრუ გუნდის“ ზრდილობიანი ბიძაშვილია.

ქვეყნად არ მოიძებნება გუნდი, რომელიც ასე ამართლებდეს ამ „სუპერსაშუალობას“ როგორც ესპანეთის ნაკრები.

ამ ნაკრების მაყურებელ კაცს ყოველთვის გაუკვირდება, ესპანელთა უგერგილობა და სწორხაზოვნება. მითუმეტეს, რომ ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის ორი გრანდის, „რეალ მადრიდისა“ და „ბარსელონას“ თამაში და ცხოვრება არაფრით მოგცემს იმის საშუალებას, რომ ესპანურ ფეხბურთზე ნიშნისმოგებით ილაპარაკო. ანდა, ესპანეთის ჩემპიონატი აიღეთ, გამორჩეულად დამუხტული და ალბათ, შეუდარებლად ემოციური. ეს ყოველივე იძლევა იმის პირობას, რომ ქვეყნის ნაკრები თავაწეული, წელგამართული გუნდი იყოს.

მაგრამ, ო, მაგრამ...

აი, დაიწყო წლევანდელი ჩემპიონატი და რა თქმა უნდა, არ ახდა სავიკ შუსტერის წინასწარმეტყველება. ორი თამაში, ორი ჩავარდნა. ორი წლის წინათ ხავიერ კლემენტეს მართლაც საუცხოო გუნდი ჰყავდა. წელს კი, ესპანეთის ნაკრებს ჩვეულმა სენმა დარია ხელი. თითქოს გუნდს ემვები დააცალესო. ალალად „ცრუგუნდულად“ ირჯება. ჩემთვის გასაგებია, ნიგერიასთან უცნაურად წაგებულმა მატჩმა ესპანელთა ბანაკში ნერვები და უხასიათობა წამოწია წინ. მაგრამ საქმე იქამდეა მისული, რომ ესპანელთა ბედი მხოლოდ ესპანელთა ხელში აღარ არის. ესპანელებმა პლოვდიველი მედოლის გუნდი უეჭველად უნდა დაამარცხონ და ამ შემთხვევაშიაც, მათი მერვედფინალში ყოფნა-არყოფნა ნიგერია — პარაგვაის მატჩის ბედზე ჰკიდია.

სხვაზე დამოკიდებული გასვლა-არგასვლა კი ყველაზე უვარგისი საქმეა ფეხბურთში. ამ ხარისხის რამ ესპანელებს როდის დაემართათ მსოფლიო ჩემპიონატზე, არც კი ვიცი.

ოთხი წლის წინათ მათ ჯგუფის ბოლო თამაშში გადაწყვიტეს თავიანთი ბედი. ბოლივიასთან მოგებით. იმავე დღეს გერმანიამ კორეას მოუგო და ესპანელებს კონკურენტი ჩამოაშორა. თუმცა, კორეელებმა თავდავიწყებით იომეს და მხოლოდ 2:3 წააგეს, მაგრამ ესპანელთა ბედი მაინც უფრო ესპანელთა ხელში იყო. რვა წლის წინ, იტალიაში, ესპანელები საერთოდაც პირველ ადგილზე გავიდნენ ჯგუფში. 1986 წელს კი უპრობლემოდ დაიკავეს მეორე ადგილი. 1982-ში ესპანელები მასპინძლები იყვნენ იმას იქეთ კი დიდი ჩავარდნა ჰქონდათ.

საერთო სურათი კი ასეთია: თუკი ესპანეთი ჯგუფიდან გადის, მას ვინმე ისეთი უნდა შეხვდეს, როგორიც დანია, ან შვეიცარიაა. ესპანელთა მიერ დანიელთა დაჯაბნის ისტორია კიდევ ცალკე ისტორიაა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საქმე რომ კარგად აწყობილიყო, ესპანელები წელსაც დანიელებს ეჯახებოდნენ მერვედფინალში და მეოთხედფინალის საგზურიც ჯიბეში ედებოდათ. თუმცა, ეს ძნელი ამბავია, ესპანეთს შევეშვათ და ჯერჯერობით ვერც დანიელებს აქვთ გული საგულეს.

პარაგვაისთან თამაშისას, სულ ესპანელთა უსახური მატჩები მახსენდებოდა და თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ამ თამაშში გოლი არ გავიდოდა. ესპანელებს დიდად არ უყვართ და არც გამოსდით სამხრეთამერიკელებთან ჭიდილი. ასე ყოფილა ურუგვაელთა და ბრაზილიელთა წინააღმდეგაც წინა ჩემპიონატებზე.

ასეც მოხდა და ხავიერ კლემენტეს მოჩვენებითი სიმშვიდე ნაღდად ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ მის გუნდს საკუთარი თავის რწმენა, ან იმდენი ოსტატობა მაინც შერჩენია, რომ სულ პატარა ამოცანა მაინც ამოხსნას.

სწორედ იმის გამო ამბობენ ხოლმე ჩვენსა, ვამხილეთ ცრუ გუნდიო.

მე კი, სულაც არ გამეხარდება ესპანელთა არგასვლა. ერთი ჯილა, სახელად რაულ გონსალესი, იქა მყავს და მწვრთნელთა ხუშტური რომ არ სჭამდეს ფეხბურთს, მეორეც, ივან დე ლა პენიაც იქ მეყოლებოდა. სხვები კი — სერჯი, აბელარდო, მორიენტესი და თვით კიკოც მთელი იმ ჩამორჩენილო ბასკური კავალერიის თანხლებით, ნაღდად იმსახურებენ იმ სანაკრებო ადგილს, რომელიც დღეს დაუჭერიათ „სიკვდილის ჯგუფში“.

ხომ არ შეიძლება საუკუნე გავიდეს და პირდაღებული რჩებოდე?

ცრუ გუნდები, ცრუ გუნდები.



## ფეხბურთის რუკასთან



**ესპანეთში** მცველ ივან კამპოს ირგვლივ კვლავ დიდი აჟიოტაჟია. ეს ფეხბურთელი ამჟამად საფრანგეთში იმყოფება ნაკრებთან ერთად და მისთვის ორი კლუბი იბრძვის: „ვალენსია“, სადაც შარშან გამოდიოდა და მადრიდის „რეალი“, რომლის ოფიციალური წარმომადგენლებიც უკვე სამი თვეა, ირწმუნებიან, ფეხბურთელთან კონტრაქტი გავაფორმეთო. თუმცა აღმოჩნდა, რომ მადრიდულმა კლუბმა „ვალენსიას“ კიდევ 800 მილიონი პესეტა (5,28 მილიონი დოლარი) უნდა გადაუხადოს, რათა საქმე საბოლოოდ მოგვარდეს. ვითარება ჯერჯერობით გაურკვეველია.

**ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა“ უკვე ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი ფრანგ თავდამსხმელ სტეფან გივარშთან, რომელიც ადრე „ოსერში“ თამაშობდა, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრაში სამხრეთ აფრიკასთან მუხლის ტრავმა მიიღო. სატრანსფერო თანხა 3,5 მილიონი გირვანქაა (5,8 მილიონი დოლარი).**

**ინგლისის** 21 წლამდელთა ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი [illegible] ბრაიტველი „მანჩესტერ სიტიდან“ „ქოვენთრში“ გადავიდა, როგორც თავისუფალი აგენტი. ბრაიტველი მანჩესტერელი კლუბის ღირსებას 11 წელი იცავდა და ამ ხნის განმავლობაში 300-მდე შეხვედრა ჩაატარა.

**რუმინელი მცველი მიოდრაგ ბელოდედიჩი თავის ყოფილ კლუბ ბუქარესტის „სტიაუაში“ დაბრუნდა და მასთან ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კლუბის პრეზიდენტმა დანიელ გერასიმმა განაცხადა, რომ ბელოდედიჩი ბუქარესტში უკვე ჩავიდა, რათა საჭირო დოკუმენტები საბოლოოდ გაფორმდეს. 35 წლის ფეხბურთელმა პირველმა მოახერხა ჩემპიონთა თასის სხვადასხვა გუნდში მოპოვება — 1986 წელს „სტიაუაში“, ხოლო 1991 წელს „ცრვენა ზვეზდაში“.**

**შოტლანდიის** „გლაზგო რეინჯერსის“ შვედი ლეგიონერი იოაჰიმ ბიორკლუნდი ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდა. კლუბის მესვეურებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ კონტრაქტი ოთხწლიანია, ხოლო სატრანსფერო თანხა 525 მილიონ პესეტას (3,5 მილიონი დოლარი) შეადგენს. ბიორკლუნდი მერვე ფეხბურთელია, რომელიც „ვალენსიამ“ სეზონის დასრულების შემდეგ გადაიბირა.

## იცით თუ არა, რომ...

...მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილე გუნდების ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა ფიფას თხოვნით მიმართეს, რათა ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ განიხილოს მსაჯობასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც მიმდინარე ტურნირზე საკმაოდ ჭარბადაა. ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა, 82 წლის ჟოაო აველანჟმა და გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებემა მიშაელ ზენ-რუფინენმა, რომელიც წარსულში თავად იყო საერთაშორისო არბიტრი, განაცხადეს, რომ უკვე გაიმართა საგანგებო კრება, რომელზეც ეს საკითხი განიხილეს. მას ოცდათოთხმეტი მსაჯი ესწრებოდა. ძირითადი ყურადღება დაეთმო ორი მატჩის განმავლობაში ხუთი მოთამაშის გაძევებას.

* * *

...დანიელმა ფეხბურთელებმა კოლუმბიელ მსაჯ ხაირო ტორო რენდონს მასხარა და უთავმოყვარეო შეარქვეს და დასძინეს, რომ საშინელმა მსაჯობამ არამარტო მათი და სამხრეთ აფრიკის შეხვედრა გააფუჭა, არამედ ეს ფაქტი საერთოდ სპორტის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში არბიტრმა ორი დანიელი და ერთი აფრიკელი გააძევა, ხოლო ყვითელი ბარათი შვიდჯერ ააფრიალა. დანიის ნაკრების მცველმა მარკ რიპერმა ამ შეხვედრას წარმოუდგენლად არასამართლიანი უწოდა.

* * *

...ბრაზილიის ნაკრების თავკაცის მარიო ზაგალოს ასისტენტმა ზიკომ, რომელიც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი იყო და არაერთხელ გაუმწარებია არბიტრების უსამართლო გადაწყვეტილებებს, საფრანგეთი 98-ზე მყოფ მსაჯთა კრიტიკას მიჰყო ხელი. მისი თქმით, დღესდღეობით ისინი ზედმეტად არიან გამკაცრებულნი და თავიანთ თავს ბევრის უფლებას აძლევენ. არადა, მათი სამუშაო ელემენტარულია — დაამატა ზიკომ — მსაჯმა უნდა აღკვეთოს ძალადობა მინდორზე და ფეხბურთელებს თავისუფალი თამაშის საშუალება მისცესო.

* * *

...მას შემდეგ, რაც მარსელში ინგლისელმა გულშემატკივრებმა დიდი არეულობა მოაწყვეს, რასაც ადამიანის სიცოცხლეც კი შეეწირა, ფრანგი პოლიციელები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ. შემდგომი მატჩი ინგლისელთა მონაწილეობით ქალაქ ტულუზში გაიმართება და არავის აქვს იმის გარანტია, რომ მარსელში დატრიალებული ამბები იქ აღარ განმეორდება. ამიტომაც 22 ივნისს ტულუზში 640 საგანგებოდ მომზადებული პოლიციელი ჩავა და დილიდანვე შეეცდება ქალაქში ხულიგნობის ფაქტების აღკვეთას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# რომელი შეხვდება „ლომელს"?

# ტორპედო ერებუნი

INTERTOTO CUP

**დღეს ქუთაისში, 6 საათზე, „გივი კილაძის" განახლებულ სტადიონზე ქართული კლუბებისთვის საერთაშორისო სეზონი იწყება. ქუთაისის „ტორპედო" ერევნის „ერებუნის" მასპინძლობს**

## ვერც არამი და ვერც ფეოლა

ერთი თვის წინ დასრულებულმა ეროვნულმა ჩემპიონატმა „ტორპედოს" მეოთხე ადგილი და ინტერტოტოზე თამაშის უფლება არგუნა. იგი მეშვიდე ქართული გუნდია, რომელიც ოფიციალურ საერთაშორისო საკლუბო ტურნირში ებმება. საევროპო დებიუტისთვის „ტორპედოს" მზადებაზე ჩვენს მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია კი აქვს, „სარბიელი" თითქმის ყოველდღიურად მოგითხრობდათ ამის შესახებ, მაგრამ მოდით, ერთხელაც შევაფასოთ მოკლედ ქუთათურთა საინტერტოტო სამზადისთან დაკავშირებული მოვლენები, რაშიც „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე დაგვეხმარება. მას გუშინ საღორიის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით.



სოსო ფრუიძე

— ჩემპიონატი რომ დასრულდა, ხუთდღიან დასვენებაზე შევთანხმდით. 28 მაისს უნდა შევკრებილიყავით, მაგრამ მიზეზთა გამო ეს არ მოხერხდა და მხოლოდ 3 ივნისიდან შევუდექით მზადებას ჩვენსავე ბაზაზე.

— თურქეთში რომ აპირებდით გამგზავრებას?

— მართალია, სამსუნში გვინდოდა გაგვემართა შეკრება. იქ სიტუაციის გასარკვევად წარმომადგენელიც მივავლინეთ. აღმოჩნდა, რომ სამსუნში ევროპული კლუბები მხოლოდ 15 ივნისიდან დაიწყებდნენ ჩასვლას. ბუნებრივია, ეს ჩვენ არ გვაწყობდა, რადგანაც სპარინგ-პარტნიორები არ გვეყოლებოდა და ისევ ადგილზე ინტენსიურად წვრთნა ვამჯობინეთ. დღეში სამჯერ ვვარჯიშობდით, ბიჭები საკმარისად დავტვირთეთ. ამ პერიოდში ორი საკონტროლო შეხვედრა გვქონდა სამტრედიის „იბერიასთან". ორივე მოვიგეთ, მაგრამ ეს არ იყო თვითმიზანი. მთავარი ის გახლავთ, რომ სომხებთან საპასუხისმგებლო მატჩების წინ ბიჭებმა სათამაშო პრაქტიკა მიიღეს.

— „ტორპედოში" ბევრი ცვლილებაა...

— რამდენიმე მოთამაშე დავიმატეთ: მეკარე გრიგოლ ჭანტურია, მცველი ვასილ მაისურაძე, ნახევარმცველი პაატა ჯინჭარაძე, თავდამსხმელი ალეკო კაიდარაშვილი. პრინციპში სულ ეს არის.

— რევაზიშვილი გამოგრჩათ და, მგონი, სხვებიც...

— რევაზიშვილი განაცხადში კი გვყავს შეყვანილი, მაგრამ მისი საკითხი ბოლომდე გარკვეული არ არის. გიორგიმ გუნდთან ერთად ცოტა ივარჯიშა. მას უცხოეთში თამაში სურს. სხვა ახალი განაცხადში არავინ გვყავს. პირიქით იმ 21 კაცს თუ მოაკლდება ვინმე. გიორგი შენგელია ჩვენთან ირიცხება, მაგრამ „დინამოში" გადასვლაზე ფიქრობს. ალბათ, ივლისის შუა რიცხვებამდე დარჩება ჩვენთან შალვა ხუჯაძე, მერე მას ფრანგულ „მონპელიეში" გასინჯავენ.

— იონანიძე უკვე დაგაკლდათ...

— იგი კრასნოდარში გაემგზავრა და სავარაუდოდ „ყუბანში" ითამაშებს. ველარც ქებაძე გაირჯება „ტორპედოსთვის". ისიც რომელიმე უცხოურ კლუბში გადავა.

— ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს იტალიურ ტურნეში „ტორპედოს" ოთხი მოთამაშე ახლდა...

— ისინი 19 ივნისს შემოგვიერთდნენ. ცუდ ფორმაში არ უნდა იყვნენ. დანარჩენებზეც იგივე ითქმის. ყველანი მზად არიან საბრძოლველად.

— ერებუნი-ომენმენის" შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?

— მეტოქეზე ცოტა რამ შევიტყვეთ. ისიც თქვენი გაზეთის დახმარებით. გვინდოდა 17-ში ერევანში ჩავსულიყავით ერთ-ერთ კალენდარულ მატჩზე, მაგრამ ბოლო მომენტში შევიტყვეთ, რომ თამაში გადაიდო, კარგი კი იყო, საქმეში გვენახა მეტოქე. ახლა წარმოდგენაც არა გვაქვს, რა სქემითა და ტაქტიკით თამაშობენ ერევნელები. მოკლედ, ვიცით მხოლოდ ფეხბურთელთა გვარები და ის რომ „ერებუნი" ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. მას მტკიცედ უპყრია მესამე ადგილი გათამაშების ცხრილში.

— გაიგებდით, ერევნელებს სულ ახლახან გამოუცვალეს მთავარი მწვრთნელი. „ნეფთჩისა" და „არარატის" ცნობილი ბომბარდირის ედუარდ მარქაროვის ადგილი მისმა თანაშემწემ არამ ფარსადანიანმა დაიკავა. არც ეს კაცია უავტორიტეტო, კარგ ფეხბურთს თამაშობდა...

— ამბობენ, მარქაროვი კლუბში შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო წავიდაო. როგორ ფიქრობთ, ქართული კლუბები უკეთეს დღეში არიან. მათაც უჭირთ, მაგრამ უძლებენ. ის 20 ათასი დოლარი სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდს რომ გამოუყო, განა ცოტას ნიშნავს და დახმარება არ არის? ფარსადანიანის თამაში კარგად მახსოვს. ერთმანეთის წინააღმდეგაც გამოვსულვართ. ტექნიკური მოაზროვნე, ფეხბურთელი იყო და მწვრთნელობაშიც, ალბათ, არაფერი შეეშლება. ისე, სამიოდ კვირაში ფარსადანიანი კი არა, სასწაულს ფეოლაც ვერ მოახდენდა, მით უფრო, ერთი და იგივე ფეხბურთელებით.

— მაინც რას ფიქრობთ, გაგიჭირდებათ?

— მეტოქე იოლად არაფერს დაგვითმობს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. სომხური ხასიათიდან გამომდინარე, ერევნელები ბოლომდე იბრძოლებენ, თავს არ დაზოგავენ. მოძრავები, ტექნიკურები იქნებიან. ამიტომაც, სათამაშო არე უნდა შევუზღუდოთ. ჩვენი ამოცანაა, დავძლიოთ სომხური ბარიერი. საამისოდ ყველაფერს გავილებთ, სხვაგვარად ვერ წარმომიდგენია. შანსებს 60:40-ზე ვაფასებ, რაღა თქმა უნდა, ჩვენს სასარგებლოდ.

**იუზა ქაციტაძე**



„გივი კილაძე" დღეს აღელდება

## ჩვენ ერთ გუნდშიც ვყოფილვართ

ერევნის „ერებუნი-ომენმენი" (ასეთია სომხური კლუბის სრული სახელწოდება) ქუთაისში გუშინ დილით ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა, „იაკ"-მა კოპიტნარის აეროპორტში სომეხთა 36-კაციანი დელეგაცია ჩამოიყვანა, რომელიც უმალ ორად გაიყო. თავად გუნდს მოსასვენებლად ვარციხის სამთავრობო რეზიდენცია დაეთმო. სომხური ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები, კლუბის ხელმძღვანელობა, ერთი ტელეჟურნალისტი, „არარატის" შემადგენლობაში სსრკ-ს 1973 წლის ჩემპიონები ალექსანდრ კოვალენკო და ოგანეს ზანაზანიანი სასტუმრო „ქუთაისში" დაბინავდნენ.

საღამოს ექვსი საათისთვის სომხებმა გაახლებულ „გივი კილაძეზე" ერთი საათი ივარჯიშეს.

**გევორქ მეიმარიანი**, „ერებუნი-ომენმენის" ვიცე-პრეზიდენტი, სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე:

— ჩვენი კლუბი ექვსი წლის წინ დაარსდა „ომენმენის" სახელწოდებით და სრულიად სომხურ სპორტულ საზოგადოებას წარმოადგენდა. შარშანდლამდე ამ კლუბის პრეზიდენტი გახლდით, მერე გუნდზე ზრუნვა ქალაქ ერევნის ერებუნის 150-ათასიანი რაიონის მერიამ აიღო თავზე და ამიტომაც გვაქვს ორმაგი სახელწოდება. კლუბის პრეზიდენტი ერებუნის რაიონის მერი არარატ ხრიმიანია, ყველაფერს აკეთებს გუნდისთვის. შარშან სომხეთის ჩემპიონატში მე-3 ადგილი დავიკავეთ. ახლაც ჯერჯერობით მესამეზე მივდივართ, მხოლოდ გიუმრის „შირაქი" და ერევნის „ცემენტი-არატატი" გვისწრებენ. დედაქალაქში თუმც მოუწყობელი, მაგრამ საკუთარი 1000-კაციანი სტადიონი გვაქვს, რომელიც ხშირად ყველა მსურველს ვერ იტევს. ნუ შეშინდებით, „ტორპედოს" საპასუხო მატჩში ცნობილ „რაზდანზე" ვუმასპინძლებთ. მარქაროვი რატომ წავიდა? იგი დიდი ხანია, გუნდის დატოვებას აპირებდა და ბოლო-ბოლო გადაწყვიტა, მას გუნდის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით ჰქონდა უთანხმოება ხელმძღვანელობასთან. ჩემპიონატის ბოლო ოთხი თამაში გუნდმა მარქაროვის დამხმარის არამ ფარსადანიანის ხელმძღვანელობით გამართა. არამი თავმოყვარე კაცია და ვფიქრობთ, გაამართლებს ნდობას.



ალექსანდრ კოვალენკო (მარცხნივ) არამ ფარსადანიანის მრჩევლის როლში

ჩვენი კლუბი მდიდარი არ არის, მაგრამ შეძლებისდაგვარად ხელს გვიწყობენ. მათ შორის, სომხური დიასპორა მთელ ქვეყნებში — ლიბანში, აშშ-ში, საბერძნეთში, სირიაში. აი, ახლაც, ივლისის დასაწყისში, სირიაში გვეპატიჟებიან ორკვირიან შეკრებაზე. ვნახოთ, „ტორპედოსთან" რა გამოგვივა. ისე, ჩვენ ჩვენი მხრივ ვეხმარებით მათ. ბეირუთის „ომენმენში" თამაშობენ ჩვენი ფეხბურთელები ვიგენ აბრამიანი და არმენ იგიტბაშიანი, იქვეა კარგად ცნობილი ბაბკენ მელიქიანიც. ისინი ლიბანის ნაკრებშიც მიუწვევიათ.

ერევანში ახალგაზრდული გუნდიც გვყავს. გარდა ამისა, ფუნქციონირებს საფეხბურთო სკოლა, სადაც 250 ბავშვია გაერთიანებული. ჩვენი სტილია, საკუთარი კადრები ალვზარდოთ და გამოვიყენოთ. ქუთაისის „ტორპედოზე" ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ გამოცდილება გვკარნახობს, თუკი საქართველოს ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავიდა, დაახლოებით ჩვენი დონისა იქნება, ამიტომაც ინტერტოტოს გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის შანსებს თანაბრად ვაფასებ.

**არამ ფარსადანიანი**, „ერებუნი-ომენმენის" მთავარი მწვრთნელი, თამაშობდა ერევნის „არარატში", აბოვიანის „კოტაიკში", საბჭოთა კავშირის იუნიორთა ახალგაზრდულ ნაკრებში. ევროპის 1976 წლის ჩემპიონია.

ქართველების წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია, მაგრამ ერთადაც შევბმივართ მეტოქეს. ჩემი მეგობარი იყო ვიტალი დარასელია, სხვებიც და მეგობრობამ უამრავი ტკბილადმოსაგონარი არაერთი ამბავი დამიტოვა.

„ტორპედოს" ადრე ვიცნობდი, ქუთაისელები ხომ სსრკ-ს უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ.

დღევანდელ გუნდზე კი, ფაქტობრივად, არაფერი ვიცი. არადა, გული მიგრძნობს, უმძიმესი გამოცდა გველის. სტუმრად თუ გავძელით, შინ საქმე შედარებით გაგვიიოლდება. მწვრთნელობის საკმარისი სტაჟი კი დამიგროვდა, მაგრამ სულ მეორე ვიყავი, ახლა მენდნენ და მეც თავს ხომ არ შევირცხვენ. ჩვენ გუნდს ბრძოლის უნარი ნამდვილად შესწევს. შარშან „არარატიდან" და „პიუნიკიდან" მოწვეული ფეხბურთელებით გავძლიერდით. ბევრს ქვეყნის ნაკრებშიც უთამაშია, ზოგსაც ნაკრების კანდიდატად მიიჩნევენ. ასეთებია მეკარე არმენ ავაქიანი, მცველი კარენ სიმონიანი, ნახევარმცველი რაფაელ ნაზარიანი, თავდამსხმელები სევადა არზუმიანი და გეგამ ოგანესიანი. ახალგაზრდული ნაკრების წევრებად ითვლებიან მცველი ჰაიკ ნარიმანიანი და თავდამსხმელი ედგარ საფარიანი. გუნდის კაპიტანი გაგიკ ავაქიანი გახლავთ, ცენტრალური ნახევარმცველი.

პირველი მატჩი სტუმრად გვაქვს, ტაქტიკასაც შესაბამისს ავირჩევთ. მეტწილად დაცვაზე ვიზრუნებთ, მაგრამ მეტოქე თუ შანსს მოგვცემს, ხელიდან არ გავუშვებთ.

მოკლედ, ყველაფერს თამაში გვიჩვენებს, ჯერ ქუთაისში და შემდეგ ჩვენთან, ერევანში. ტორპედოელებთან შეხვედრები საერთაშორისო არენაზე ჩვენი კლუბის დებიუტია.

**იუზა ქაციტაძე**

# ძალიან ცივა, ძალიან ცხელა
## მუხრან გოგია მაინც აქ რჩება

გეხსომებათ, მაისის დასაწყისში გერმანიის ქალაქმა რიესამ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, ის ხომ გეხსომებათ და გეხსომებათ, რომ საჩხერელმა გიორგი ასანიძემ ვერცხლის მედლით გაგვახარა. ჩვენდა გასაკვირად, გერმანულ ფიცარნაგზე არ გასულა მუხრან გოგია, არადა, მუხრანი ისეთი პოტენციის ძალოსანია, კონტინენტის პირველობაზე თავი არ უნდა შეერცხვინა. იგი ძალოსანთა დარბაზში ვარჯიშისას მოვინახულეთ.

— ატლანტის ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმის შემდეგ კარგა ხანს არ მივარჯიშია და, ცხადია, ფორმის აღდგენაც გამიჭირდა. მართალია, შარშან ირანის საერთაშორისო ტურნირზეც გამოვედი და ევროპის ჩემპიონატზეც, მაგრამ სასურველი შედეგის ჩვენება გამიჭირდა. წელსაც სათანადოდ ვერ მოვემზადე საევროპოდ და თავის შერცხვენას ტურნირზე წაუსვლელობა ვამჯობინე. სწორედ ეს გახლდათ რიესაში ჩემი არყოფნის მიზეზი.

**— ისეთი მონდომებით ვარჯიშობ, ვატყობ, გაცდენილის ანაზღაურება გადაგიწყვეტია.**

— მართლაც ეგრეა, ნოემბერში ფინეთში მსოფლიოს ჩემპიონატია და მინდა კარგი შედეგი ვაჩვენო, კარგი შედეგი კი რომელიმე ხარისხის მედალს აუცილებლად მოიტანს.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

მუხრან გოგია ამ პაპანაქებაშიც ტონობით სიმძიმეს ეწევა

**— თუ ასეთ პირობებში გააგრძელე მზადება, საეჭვოა, სპორტული ფორმის პიკს მიაღწიო.**

— გეთანხმები, ზამთარია და, დარბაზის გათბობას ვერაფრით ვახერხებთ, აი, ზაფხულია, აუტანელი სიცხეა და ვარჯიში კი არა, კაცს შეიძლება სული შეეხუთოს. ამიტომაც გიორგი ასანიძესთან ერთად აგვისტოს დასაწყისში პოლონეთში გავემგზავრები და იქ უკეთ მოვემზადები საფინეთოდ, თან რომელიმე იქაური კლუბის სახელით ტურნირებშიც მივიღებ მონაწილეობას.

**— მუხრან, ბევრ ქართველ სპორტსმენს უცხო ქვეყნებისკენ უჭირავს თვალი, გაჭირვებას გაურბიან და სხვათა სახელით იხვეჭენ მედლებს...**

— მივხვდი, რასაც მეკითხები, მეც მიწვევდნენ კვიპროსელები, კარგ პირობებსაც მთავაზობდნენ, მართალი გითხრათ, ერთი ხანობა ვფიქრობდი, ხომ არ დავთანხმდე-მეთქი, მაგრამ მაინც საქართველოში დარჩენა და სამშობლოს სახელით გამოსვლა ვამჯობინე.

სოსო ძოტორეიშვილი

რაგბი

# ირლანდია ძალიან დაგვიჩაგრეს

მსოფლიოს თასის შესარჩევ ჯგუფში ქართველთა მეტოქე ირლანდია სამხრეთ აფრიკას სტუმრობს და გუშინ პრეტორიაში მეორე ტესტ-მატჩიც გამართა. პირველ შეხვედრაში დამარცხებულმა სტუმრებმა ვერც მეორეში იხეირეს, ის კი არა, სულაც მშრალად, 0:33 წააგეს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ირლანდიელები ამ მატჩში „მასპინძლები“ იყვნენ და თანაც ძალიან „გულუხვნი“ — თითქმის მთელი თამაში „შინ“, თავიანთ ნახევარზე გაატარეს და ხუთი ლელოც გაატანინეს აფრიკელებს.



# ნუ გაუშვებთ ამ კაცს ძროხაში!
## წყალში ხტომა წყალს გავატანოთ?

**ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო ორი წყალში მხტომელით მონაწილეობდა, რაც მეტად საკვირველი ფაქტი გახლავთ. საკვირველი იმდენად, რამდენადაც ჩვენს წყალში მხტომელებს იმხანად მართლაც წყალში გადასახტომად ჰქონდათ საქმე, მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ვერც წყალს მიაგნეს სადმე და ვერც გადასახტომ ადგილს და მაინც, ნანა ყაზარაშვილმა და გოჩა გახარიამ უცხოეთში კარდაკარ ხტომით თუ წავარჯიშებით ოლიმპიური ლიცენზიები მოიპოვეს და არც ატლანტაში აღმოჩნდნენ მთლად მაჩანჩალანი. მას შემდეგ ორი წელი იწურება, ნანას და გოჩას სახელი კი აღარსად ისმის.**



ალექსანდრე ბართაია

— ნანა ყაზარაშვილმა, წარსულში ცნობილი მოჭიდავის, მსოფლიოს ჩემპიონისა და თასის მფლობელ თემურ ყაზარაშვილის შვილმა წყალში ხტომა მიატოვა — გვიამბობს საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ამ სახეობაში ალექსანდრე ბართაია — გოჩა გახარია კი შარშანდელი სექტემბრიდან ამერიკაში ვარჯიშობს.

**— იქ როგორ მოხვდა?**

— ატლანტის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, როცა იქ ჩვენი მომავალი ოლიმპიელები ჩავიდნენ, გოჩა ერთმა ოჯახმა შეიფარა და უპატრონა. ახლაც იმავე ოჯახმა მიიწვია თავისივე ხარჯებით. ერთი იქაური წამყვანი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვარჯიშობს.

**— მერედა, როგორ ვარჯიშობს? კიდევ მოიპოვებს ოლიმპიურ საგზურს?**

— ღმერთმა უწყის, როგორ ვარჯიშობს. ეს რომ ვიცოდეთ, მაშინ გოჩა საქმეში — შეჯიბრებებზე უნდა გვენახა. სამისოდ გეგმაც გვქონდა შედგენილი, რომლის მიხედვით იგი უნდა გამოსულიყო რუსეთის ღია პირველობაზე, მერე მოსკოვში გამართულ დიდ საერთაშორისო ტრადიციულ ტურნირზე „გაზაფხულის მერცხლები“, რომელშიც მსოფლიოს უძლიერესი მხტომელები იბრძვიან გამარჯვებისთვის და ოლიმპიურ ლიცენზიასაც იძლევა. გოჩა უნდა გამოსულიყო ევროპის თასის გათამაშებაშიც, რომელიც ასევე რუსეთში ჩატარდა. მისი სამგზავრო თანხა, რა თქმა უნდა, ჩვენ უნდა გადაგვეხადა, მაგრამ, სამწუხაროდ, უსახსრობის გამო ეს არ მოხერხდა, ამერიკელები კი მართლაც თან ხომ არ გადაყვებიან? ამიტომაც გოჩამ იქიდან გულმოკლული კაცის ტონით დაწერილი ბარათი გამომიგზავნა... თუ ვარჯიშის რაღაც პირობები მაინც ექნება, სიდნეის ოლიმპიურ ლიცენზიას, დარწმუნებული ვარ, მოიპოვებს. ატლანტამდეც ოთხი წლის უვარჯიშებელი იყო, მერე, ერთი-ორჯერ მოსკოვში გადმოხტა და ლიცენზია მოიპოვა. ახლაც, ატლანტის მერე ვარჯიშზე გული აიყარა, საქართველოში ზამთრობით წყალი არ გვაქვს, სხვის კარზე კი როდემდე ვიაროთ და წყალში ხტომას შეეშვა. მერე ისევ შევაგულიანეთ, მოსკოვში ერთი თვის ვარჯიშის შედეგად რუსეთის დედაქალაქის პირველობაზე ყველას აჯობა, გავიდა ორიოდე თვე და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე XIV ადგილი დაიკავა.

ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ მაგალითების საშუალებით გიჩვენოთ, თუ როგორი ნიჭიერი წყალში მხტომელია გოჩა გახარია. მას აქვს ნახტომების ისეთი რთული პროგრამა, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს შეეფერება. მისი დიდი პლუსია ისიც, რომ წყალში უშხეფოდ ეშვება. ეს ძალზე მნიშვნელოვანია — რთული ნახტომები რაც უნდა გამართულად შეასრულო, ჩაშვებისას თუ შხეფი მოჰყვა, ჩათვალე, რომ თითქმის ყველაფერი წყალში გადაგიყრია.

ახლა გოჩა ძალზე მონდომებულია. იგი სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის სერიოზულად ოცნებობს. თავადაც სერიოზული ბიჭია. ასე რომ, მას ხელშეწყობა სჭირდება.

**— რაღა ხელშეწყობა სჭირდება, კაცი ამერიკაში ვარჯიშობს, თანაც იქაური წამყვანი სპეციალისტის ხელმძღვანელობით.**

— მაგრამ შეჯიბრებებში გამოსვლაც ხომ აუცილებელია. ამასთან, გოჩა იმ ოჯახში ერთი წლის ვადით ცხოვრობს. სექტემბერში დაბრუნდება. აქ „ლაგუნა ვერეს“ აუზში აცივებამდე ცოტას კიდევ ივარჯიშებს, მერე რა იქნება, არავინ უწყის. არადა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს, მიუხედავად ჩვენი პირობებისა, შეუძლია ორი წყალში მხტომელი ჰყავდეს.

**— მეორე ვინღაა?**

— ნანა ნებიერიძე. იგი თავის დროზე ძალზე პერსპექტიული წყალში მხტომელი გახლდათ. სულ პატარა იყო, როცა ახალგაზრდულ საკავშირო ნაკრებში ჩარიცხეს. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გახდა, საკავშირო ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებაში საპრიზო ადგილები დაიკავა, მაგრამ ცოტა ადრე დაოჯახდა, დედა გახდა და სპორტს ჩამოშორდა. მერე ქვეყანაც აირია. წყალში მხტომელებიც უწყლოდ დარჩნენ და აბა, ნანას აუზში რაღა მოაბრუნებდა. ბოლოს ისიც შევაგულიანეთ და ნელ-ნელა ვარჯიში განაახლა. პრაქტიკულად ყველაფერი ნოლიდან დაიწყო. წონა თანდათან დაიკლო, ჩვეულ სიმსუბუქესა და სისხარტესაც თანდათან იბრუნებს. ნანას საქართველოს ნაკრების ყოფილი უფროსი მწვრთნელი იური გუტიაკულოვი ავარჯიშებდა. ჩვენი გაუსაძლისი პირობების გამო რომ წყალში მხტომელთა მწვრთნელები საქართველოში ზედმეტნი გახდნენ, მან სარატოვს მიაშურა და ახლა იქ მუშაობს. მე შენ გეტყვი და არ მიიღებდნენ. გუტიაკულოვის დარ მწვრთნელებს ნებისმიერი ქვეყანა კარს გაუღებს. ჰოდა, ნანა იურის იქ გავუგზავნეთ სავარჯიშოდ და გამოსაზამთრებლად. თებერვალში უკვე



ნებიერიძეს სიდნეიში გადახტომა სურს

რთულ რუსეთის პირველობაზე სცადა ძალა და VII ადგილი დაიკავა. მერე იყო მარტში იქვე ჩატარებული „გაზაფხულის მერცხლები“, სადაც მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი წყალში მხტომელი გამოდიოდა. აქ ნანა მეათე იყო. აპრილში სარატოვში ევროპის თასის გათამაშებაში VIII ადგილი დაიკავა. მისი ნახტომები ჯერ კიდევ წუნიანია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნანა თანდათან იბრუნებს სპორტულ ფორმას.

სხვათა შორის, ზემოხსენებული შეჯიბრებები წლეულს ოლიმპიური თამაშებისთვის სალიცენზიო რომ ყოფილიყო, ნანას იგი გარანტირებული ექნებოდა.

**— ეტყობა, ნანა ნებიერიძე ლიცენზიას მართლაც მოიპოვებს. და თუ ეს მოხდა, თქვენი ვარაუდით, სიდნეიში რომელი ადგილისთვის იბრძოლებს?**

— თუ პირობები ექნება, შეუძლია კოშკზე 12 უძლიერესს შორის მოხვდეს.

**— ახლა აქაურ პირობებზეც გვიამბეთ.**

— „ლაგუნა ვერეს“ კომპლექსში მშვენიერი პირობები გვაქვს. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. ოღონდ ასე აცივებამდე გაგრძელდება, მერე კი იძულებულნი ვიქნებით დიღომში თინათინ ლეკვეიშვილის სახელობის ზამთრის საცურაო აუზში გადავბარგდეთ. იქ არის 5-მეტრიანი კოშკი, მაგრამ გინდ ყოფილა, გინდ არა. ჯერ ერთი, 5-მეტრიან კოშკზე ვარჯიშით შორს ვერ წახვალ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ აუზის სიღრმე 5-ის ნაცვლად 3,5 მეტრია. ცხადია, ის კოშკი არად გვარგია. ამიტომ იქ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან მოგვიწევს ვარჯიში.

**— ნებიერიძე 10-მეტრიანი კოშკიდან მხტომელია, 3-მეტრიან ტრამპლინზე ვარჯიშს რა აზრი ექნება?**

— კოშკურიდან მხტომელისთვის ტრამპლინზე ვარჯიშიც სასარგებლოა. კოშკურასა და ტრამპლინზე ვარჯიში ერთმანეთს ავსებს. ამიტომ, სულ არაფერს, ჯობია ტრამპლინზე ვივარჯიშოთ.

**— და ახლა მთელი საქართველოს წყალში მხტომელები ამ ორი სპორტსმენის ამარადა დარჩით? სიდნეის მერე ისინი ალბათ ხტუნვას მიატოვებენ, მერე კი ყველაფერი ნოლიდან უნდა დაიწყოთ?**

— რატომ, ბავშვებთანაც ვმუშაობთ. თაობათა შორის ჯაჭვის გაწყვეტა არაფრით შეიძლება. ბავშვი რომ ჩვენთან მოვა, მან ვიღაცის ნახტომი ხომ უნდა ნახოს, იმისი ნახტომებითაც ისწავლოს. აბა, ამხელა კაცი ხომ არ გადმოვხტები და ვუჩვენებ ბავშვებს, თუ რომელი ნახტომი როგორ სრულდება. ნებიერიძემ და გახარიამ ოლიმპიური ლიცენზიები რომ ვერ მოიპოვონ, ისინი ბავშვების სამაგალითოდ მაინც საჭირონი არიან.

**— როგორი ბავშვები გყავთ, მათგან რას უნდა ველოდოთ?**

— მაისში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით შეჯიბრება ჩავატარეთ. ცხადია, მხოლოდ თბილისელები გამოდიოდნენ. 11 წლის ვიტალი მამნიაშვილმა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში დიდების I თანრიგი შეასრულა. მეორე ადგილზე ათი წლის გოგა (ჭოლა) ჭანტურია გავიდა და გამარჯვებულს დიდი მეტოქეობა გაუწია. ისინი ძალიან პერსპექტიულები არიან. სხვათა შორის, ჭანტურია 7 წლისა რომ იყო, ცურვა არც კი იცოდა, ისე წავიყვანე მოსკოვის პირველობაზე, რომელშიც მასზე 3 წლით უფროსები გამოდიოდნენ. ჰოდა, ჩვენმა ჭოლამ 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში III ადგილი დაიკავა, ბატუტზე კი ყველას აჯობა.

**— კი მაგრამ, თუ ცურვა არ იცოდა, წყალში როგორღა ხტებოდა?**

— შეჯიბრების დაწყებამდე იქვე სამ დღეში ვასწავლე.

**— კი ბატონო, სამ დღეში წყალში მხტომელისთვის სამყოფი ცურვა შეიძლება ბავშვს ასწავლოთ, მაგრამ თავად წყალში ხტომის სწავლა ამ ხნის განმავლობაში ხომ შეუძლებელია, თანაც ისე, რომ უფროსებს გაეჯიბროს და აჯობოს?**

— საქმე ის არის, რომ უწყლობის გამო მას და სხვებსაც ვაკის საცურაო აუზის დარბაზში „მშრალ“ ხტომებს ვასწავლიდი. ბატუტზე და კაუჩუკით ამოვსებულ ორმოშიც ვახტუნავებდი. ახლაც ასე ვმუშაობ. ამ საქმეში ჩემი შვილი მეხმარება. ჰოდა, ახლა ჭანტურიასა და მამნიაშვილის გარდა სხვაც ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ბავშვი გვყავს. მათ შორის ნინო და დათო ყვავაძეები, სალომე ჯუღელი, შოთა კოროხაშვილი, ბიძინა მოისწრაფიშვილი... ისინი მთლად ბავშვები არიან, მაგრამ დიდების III თანრიგს ასრულებენ. წინათ ასეთ ნიჭიერ ბავშვებს სანთლით დავეძებდით, ახლა კი მათი სიმრავლე, ღმერთმანი, საკვირველია.

**— თქვენ რით ხსნით ამას?**

— ალბათ, სპორტის უმრავლესი სახეობის სექციები უმოქმედოდ არიან. მშობლები კი, ეტყობა, ჩვენთან რაღაც მუშაობას ხედავენ და შვილებიც აქ მოჰყავთ. შესაბამისად, ნიჭიერთა არჩევანიც მეტი გვაქვს. ახლა მუშაობაში ძალიან მეხმარება ჩემი შვილი — ირაკლი. 5-6, 8-9 წლის ბავშვებს ვავარჯიშებთ.



ნანა ნებიერიძე

**— მერედა, როდემდე ავარჯიშებთ. წყალში მხოლოდ ზაფხულობით ხტომა მიზანთან ხომ ვერ მიგიყვანთ?**

— ამ ორი წლის განმავლობაში თუ ზამთრის აუზი ამუშავდება, ბავშვები წყალში სახტომად მზად გვეყოლება. საქმე ის არის, რომ წყალში ხტომის დასაწყებად ბავშვს საფუძველი უნდა ჰქონდეს. საფუძველში ვგულისხმობ სპორტის სხვა სახეობაში მომზადებას, უწინარეს ყოვლისა, ტანვარჯიშში, აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომაში. უამისოდ არაფერი გამოვა. ყველა ძლიერი წყალში მხტომელი ამ სახეობებში მეტნაკლებად დაოსტატებულია. ასე რომ, ორი წელი შეიძლება კაცმა მოიცადოს, მერე კი, თუ ზამთრის აუზი არ ამუშავდება, წავალ ისევ ჩემს ძროხებში.

**— ძროხებიო?..**

— ჰო, ძროხებში წავალ. ცხოვრება რომ გაჭირდა და წყალში მხტომელებიც მშიერ-მწყურვალნი დავრჩით პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, ავდექი და კაი გლეხკაცივით მკლავები დავიკაპიწე, სოფლის მეურნეობა ვისწავლე, ფერმა ავაშენე და... აღარც სასმელი მაკლდა, აღარც საჭმელი, აღარც ფული...

**— თუ ასე იყო, აუზში რაღამ დაგაბრუნა? თუ არ ვცდები, რვა თვეა ხელფასიც არ მიგიღიათ. რომ მიგეღოთ, მე თქვენ გეტყვით და თავს გაგატანინებდათ...**

— შარშანწინ ვაკის აუზის მეპატრონე ირაკლი ჩხიკვაძე შემხვდა და მეუბნება, ჩვენს დარბაზში თქვენი ბატუტები და სხვა ათასი ინვენტარი რომაა, იმისა არაფერი გამეგება, იჯებ მოხვიდე და ყველაფერი გამართოო. მეც ჩემი ჭკუით მისახმარებლად მივედი. მივედი და იქაურობას შევრჩი. კუჭის გარდა რაღაც სულიერიც ხომ არსებობს. წყალში ხტომა ჩემთვის რაღაც სულიერ საზრდოსავითაა, მაგრამ სადამდე გამყვება იგი, არ ვიცი.

ავთანდილ ჭყუიშელი

გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გოლები

3 — მარსელო სალასი (ჩილე), კრისტიან ვიერი (იტალია)

2 — ლუის ერნანდესი (მექსიკა), ტიერი ანრი (საფრანგეთი), დავორ შუკერი (ხორვატია), მარკ ვილმოტსი (ბელგია)

1 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), რობერტო ბაჯო (იტალია), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), ფერნანდო იერო (ესპანეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), ალან შირერი (ინგლისი), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ჰ. ფლო (ნორვეგია), ბარლი (შოტლანდია), რონალდო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), ბებეტო (ბრაზილია), ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი)

### წითელი ბარათები

**B ჯგუფი**

კამერუნი — რაიმონდ კალა

**C ჯგუფი**

დანია — მიკლოშ მოლნარი, მორტენ ვიგჰორსტი
ს. აფრიკა — ალფრედ პირი
საფრანგეთი — ზინედინ ზიდანი
საუდეთი — მუჰამედ ალ ხალაივი

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი

**E ჯგუფი**

კორეა — ჰა სეკ ჯუ
ჰოლანდია — პატრიკ კლუივერტი
ბელგია — გერტ ვერჰეინი
მექსიკა — პაველ პარდო

### ყვითელი ბარათები

**A ჯგუფი**

ბრაზილია — სეზარ სამპაიო 2, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო
შოტლანდია — დარენ ჯეკსონი 2, გორდონ დიური
მაროკო — საიდ ჩიბა 2, აბდელჯალილ ჰადა
ნორვეგია — ჰენინგ ბერგი, კეტილ რეკდალი

**B ჯგუფი**

ჩილე — ნელსონ პარაგუსი, კლარენს აკუნია, ფრანსისკო როხასი, მარსელო სალასი, მოისეს ვილიაროელი, ივან სამორანო, ფაბიენ ესტეი
იტალია — ანჯელო დი ლივიო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო კოსტაკურტა, ლუიჯი დი ბიაჯო
ავსტრია — ანტონ პფეფერი, პეტერ შოტელი
კამერუნი — სამუელ იპუა, პიერ ვომე, პიერ ნჯანკა, დიდიე ანგიბედო, რიგობერტ სონგი

**C ჯგუფი**

დანია — მორტენ ვიგჰორსტი, მარკ რიპერი, ალან ნილსენი, მიჰაელ შიონბერგი, იეს ჰოგი, პეტერ შმაიხელი
საფრანგეთი — ემანუელ პეტი, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, ბიქსენტე ლისარასუ
საუდეთი — ხალიდ ალ მუვალიდი, მუჰამედ ალ ჯაჰანი, სამი ალ ჯაბერი
ს. აფრიკა — ვილემ ჯეკსონი, დავიდ ნიატი, პიერ ისა, ალფრედ პირი, ლუკას რადებე

**D ჯგუფი**

ბულგარეთი — ანატოლი ნანკოვი, ხრისტო სტოიჩკოვი, ტრიფონ ივანოვი, ილიან ილიევი, რადოსტინ კიშიშევი
ესპანეთი — გილერმო ამორი, მიგელ ანხელ ნადალი, ივან კამპო, სერხი, კიკო ნარვაესი
პარაგვაი — მიგელ ბენიტესი, სელსო აიალა, ფრანსისკო არსე
ნიგერია — უჩე ოკეჩუკვუ 2, მუტიუ ადეპოჟუ, ვიკტორ იკპება, ჯეი-ჯეი ოკოჩა

**E ჯგუფი**

მექსიკა — ხაიმე ორდიალესი, ალბერტო გარსია ასპე, ხესუს რამირესი
ბელგია — ლორენცო სტალენსი, ერიკ დეფლენდრე, გორდან ვიდოვიჩი
კორეა — ჩოი იონგ სო, კო იონგ სო

**F ჯგუფი**

იუგოსლავია — ზელიკო პეტროვიჩი, დრაგან სტოიკოვიჩი
გერმანია — იენს იერემისი, დიტმარ ჰამანი, იორგ ჰაინრიხი
აშშ — ფრენკი ჰეიდუკი, ედი პოუპი

**G ჯგუფი**

ტუნისი — ხოსე კლეიტონი, იმედ ბენ ინეში, კაის გოდბენი
რუმინეთი — იულიან ფილიპესკუ, დორინელ მუნტეანუ, დან პეტრესკუ
ინგლისი — სოლ კემპბელი
კოლუმბია — ხოსე სანტა

**H ჯგუფი**

იაპონია — ისუკე ნაკანიში 2, მასამი იჰარა, ტაკაში ჰირანო, ჰიროში ნანამი, იაკატა აკიტა
ხორვატია — ზვონიმირ სოლდო, დარიო სიმიჩი, რობერტ პროსინეჩკი, მარიო სტანიჩი
იამაიკა — დეონ ბარტონი

# სექსიც, ოღონდ ცოტა

გერმანელებს, როგორც მოგეხსენებათ, დისციპლინა უყვართ. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთ დელიკატურ საკითხშიც კი, როგორც მამაკაცისა და ქალის ურთიერთობაა. ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: საფრანგეთის კურორტ ნიცაში გერმანიის ნაკრებია დაბანაკებული. ფეხბურთელების ადგილსამყოფელთან ახლოს არის სასტუმრო, სადაც მათი ცოლები და მეგობარი გოგონები ბინადრობენ. ბუნებრივია, გერმანელ მოთამაშეებს ხშირად უჩნდებათ გვერდით ოტელში სტუმრობის სურვილი, მაგრამ თურმე ეს ადვილი არ ყოფილა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა თავკაცმა ბერტი ფოგტსმა შეიმუშავა განრიგი, რომელშიც ფეხბურთელთა თავისუფალ დროს ორ ნაწილად ჰყოფს — თავად „თავისუფალ" და „გართობის" დროდ. პირველი არ გულისხმობს მანდილოსანთა მონახულებას — მოთამაშეებმა უნდა დაისვენონ და მომავალი თამაშისთვის ფსიქოლოგიურად განეწყონ. რაც შეეხება „გართობის დროს", აქ უკვე შეზღუდვები არ არსებობს და ფეხბურთელებს შეუძლიათ თავიანთ მეორე ნახევრებთან ერთად რაც უნდათ, ის აკეთონ.

გერმანულმა გაზეთებმა ყველას ამცნეს, ნაკრების ერთ-ერთ წევრს ისე მონატრებია მეგობარი გოგონა, მის სანახავად „თავისუფალ დროს" წასულაო. ამაზე გერმანელთა თავკაცის ასისტენტ რაინერ ბონჰოფს ირონიულად უთქვამს, ეტყობა, მხოლოდ განრიგის პირველი ნაწილი წაიკითხა და ამიტომაც შეეშალაო. ისე, ცნობილი გახდა — გართობისთვის თურმე მატჩისშემდგომი 24 საათია გამოყოფილი.



ბერტი ფოგტსმა თავისუფლება და გართობა გამიჯნა



ტონი ადამსი დიდი მელომანი ყოფილა

## გამოიცან მელოდია

მსოფლიო ჩემპიონატი დამაბული ტურნირი რომაა, ეს ახალი ამბავი არ არის. გუნდებს გამარჯვებისთვის სრული კონცენტრაცია სჭირდებათ, თუმცა არც გადაჭარბებული სერიოზულობაა კარგი.

ინგლისელები რატომღაც ასკეტი ხალხის სახელით არიან ცნობილნი, თუმცა მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრებული ნაკრების საქციელმა ეს ჰიპოთეზა კიდევ ერთხელ უარყო. ამასწინათ ინგლისელთა ხელმძღვანელობამ გართობის მიზნით გუნდში მუსიკალური კონკურსი მოაწყო, რომლის დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ფეხბურთელებს ცნობილი ჰანგები გამოეცნოთ. მუსიკის მოყვარულად ინგლისის ნაკრებში დევიდ ბექემი, სტივ მაკმანამანი და დარენ ანდერტონი ითვლებიან. ესენი თანაგუნდელებზე მეტად არიან გათვითცნობიერებული მუსიკაში, ასე რომ, წესით და რიგით გამარჯვება რომელიმე მათგანს უნდა დარჩენოდა, თუმცა ყველას ნაკრების ერთ-ერთმა გამოცდილმა ფეხბურთელმა, გამოსწორებულმა ლოთმა ტონი ადამსმა აჯობა. მან ოცი მელოდიიდან ხუთი გამოიცნო, ამდენი კი სხვამ ვერავინ შეძლო.

კონკურსი ჯილდოს გარეშე არ არსებობს, ადამსიც ცხადია უპრიზოდ არ დარჩენილა — მას გადაეცა აუდიოკასეტა, რომელზეც ფეხბურთელთა მიერ შესრულებული ინგლისის ჰიმნია ჩაწერილი.

## რა ახლო ყოფილა კენია...

ლატაკ ქვეყნებში ელექტროსადგურების გაუმართაობის შესახებ და ამის გამო განერვიულებულ გულშემატკივართა დანაშაულებრივ მოქმედებებზე ადრეც ვწერდით, ამ რამდენიმე დღის წინ კი ბანგლადეშსა და სხვა აზიურ ქვეყნებში მომხდარის დარი აჯანყება კენიაშიც დაფიქსირდა.

იტალია — კამერუნის შეხვედრას დაწყებას კენიელი გულშემატკივრები მოთმინებით ელოდნენ, თუმცა როგორც კი ეკრანზე გასახდელიდან გამომავალი გუნდები გამოჩნდნენ, შუქიც მყისიერად ჩაქრა. ალბათ უკვე ხვდებით რა მოიმოქმედეს გაბრაზებულმა ქომაგებმა — დიახ, რკინებით, ჯოხებით და სხვადასხვა ავისმაუწყებელი ნივთებით შეიარაღებული ხალხი იქვე მდებარე ელექტროსადგურისაკენ დაიძრა, იქ კი კარგად უწყოდნენ რაც უნდა მომხდარიყო და უსაფრთხოების ზომები მიეღოთ. კენიელ მეშუქეებს თადარიგი დაეჭირათ, პოლიციელთათვის დაეძახათ, წინდახედულობის წყალობით კი მათ სისხლისღვრა თავიდან აიცილეს.

საბოლოოდ პოლიციელებმა აღშფოთებული ხალხი დააშოშმინეს, შუქის ჩართვასაც დაჰპირდნენ და ერთი-ორი ტკბილი სიტყვის წყალობით ბრბოს დაშლაც მოახერხეს.

მოგვიანებით პოლიციელებმა და მეშუქეებმა სიტყვა შეასრულეს — ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილ უბანს დენი ჩაურთეს, თუმცა ფეხბურთი უკვე დასრულებულიყო...



### ფეხბურთი ყველასია!

ეს ბრაზილიელი ნაკაცარი, აწ ქალად ქმნილი, თავისიანების დიდი ქომაგია. მისიანები კი ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონებიც არიან და მისნაირი ნაკაცარნიც: აკი სწორედ ამ მართლა უკანასკნელთა საპროტესტო აქციას შეერთებია ეს არსება — ფრანგმა ჰომოსექსუალებმა მთავრობას მოსთხოვეს, ერთმანეთში ქორწინების ნება დაგვრთეთო


## სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29